ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტიელი

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 17 ივნისი 2004 №137 (2156) ფასი 50 თეთრი

რეჰაგელმა ბერძნები ხალხად აქცია

ნიოელი ლუსებს 2002 0:3 0

REUTERS ლოსაბონიდან

Кто Виноват? Что Делать?



გუნდიდან მოკვეთილმა ალექსანდრ მოსტოვომ ცალი ფეხით გაასწრო ნაკრებს — რუსეთს ევროპის ჩემპიონატზე ჯგუფის იქით აღარაფერი ესაქმება. ერთი მატჩიც და, ჰაიდა, მოსკოვისკენ.

პორტუგალიამ კი სამეოთხედფინალო შანსი გაიჩინა, თუმც ამის გამოსაყენებლად ესპანელთა დამარცხება სჭირდება ჩემპიონატის მასპინძელს. მოკლედ, კაი რამ იქნება ბოლო ტურის პორტუგალია — ესპანეთი. იქამდე კი წუხანდელ თამაშზე ვთქვათ. პორტუგალიამ ისე დაიწყო, რუსებს ნაცადი „ბეი-ბიგის“ შანსიც არ დაუტოვა. თავისსავე ნახევარზე გამოკეტილ რუსებს ბურთის მოგერიებაც კი უჭირდათ. იარცევის ჩანაფრიქით, შემტევ კერჟაკოვს ჩვენებური მალხაზ ასათიანის ლოკომოტიველი დოსტი მარატ იზმაილოვი უნდა დახმარებოდა, მაგრამ ორ პასს ერთმანეთზე ვერ აბამდნენ რუსები და კერჟაკოვიც უიმედოდ შეჰყურებდა თავისიანთა გასაჭირს.

აწკაპუნეს ერთხან ბურთი პორტუგალიელებმა და მალე დეკომ საგოლე პასი გამოაცხო — საპენალტესთან ჩასაფრებულმა მანიშემ შორეულ კუთხეში დაურტყა ოვჩინიკოვს და პორტუგალიამ ჩაფიქრებული სწრაფი გოლიც გაიტანა.

ტაიმის ბოლომდე საინტერესო ბევრიც არაფერი მომხდარა, მაგრამ სანამ მსაჯი შესვენებისას ჩასტვენდა, დიდი ამბები დატრიალდა მოედანზე. მცველთა შეცდომის გამო პაულეტა დარჩა მეკარესთან პირისპირ, ოვჩინიკოვი საჯარიმოს გარეთ გაუხტა თავდამსხმელს, ბურთს ჩაუხტა და ისე ჩანდა, რომ ხელითაც ითამაშა, მსაჯმაც წითელი აუფრიალა უიღბლო რუსს, არადა გამეორებაზე ცხადად გამოჩნდა, რომ ოვჩინიკოვს ხელით არ უთამაშია. ეს იყო და, რუსი ქომაგი გახტა მოედანზე და მის ალაგმვას კაი ჯაჯგური დასჭირდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ „წესრიგის დამრღვევი“ რუსეთში ცნობილი ჟურნალისტი და შოუმენი ოთარ ყუშანაშვილი ყოფილა.

ოვჩინიკოვის ნაცვლად კი კარში მალოფეევი დადგა და მეორე ტაიმში გამოჩნდა, რომ შემთხვევის წყალობით მოედანზე მოხვედრილი ზენიტელი მეკარე რუსთაგან საუკეთესო იყო მოედანზე.

მატჩის წინა პროგნოზი გამოიცნო ნუნუ გომეშმა — სკოლარი ძირითადში არ დამაყენებს და ალბათ შეცვლაზე მათამაშებსო. ნუნუ კი შევიდა მოედანზე, მაგრამ ბევრით არაფრით გამოუჩენია თავი, თუმც პორტუგალია მის გარეშეც უტევდა.

55-ე წუთი იყო, რუსებმა დეკოს ლამის რომ დაახვრეტინეს მალოფეევი: დეკოს ჯარიმისას ცოცხალი კედელი რატომღაც არ დადგა და მალოფეევმა პირველი სერიოზული გამოცდაც ჩაბარა — უცნაური ტრაექტორიით კარში წასული ბურთი ეფექტური ნახტომით დაიჭირა.

ეს იყო და თამაშს დაეტყო რუსთა გამოცოცხლება. პორტუგალია კი უკვე მძიმედ უტევდა ათკაცა მეტოქეს. ამის მიზეზი ის იყო, რომ რუსეთს აღარაფერი ჰქონდა დასაკარგი, მასპინძლებს კი ანგარიშის შენარჩუნება ეწადათ. აკი, თქვა კიდეც მატჩის წინ სკოლარიმ, სამი ქულა ავიღო და თუნდაც ნახევრით ნოლი მოვიგოო.

მე-60 წუთზე მანამდე სახიფათო ფლანგური პასის გამკეთებელმა კარიაკამ ოციოდე მეტრიდან დაარტყა. მასპინძელთა საბედნიეროდ რიკარდუმ ივარგა. რუსთა ამ შეტევით განგაში იგრძნეს პორტუგალიელებმა და მალე ფიგუმ, რუი კოშტამ და დეკომ ზღაპრული კომბინაცია გაჭრეს. მალოფეევს ფიგუ შერჩა, მაგრამ რუსს ძელი წაეხმარა მეტოქის დარტყმისას, დამატებაზე კი დეკოს აუცდა. ეს იყო და პორტუგალია ისევ ღილინ-ღილინით მიუბრუნდა თამაშს და ლამის დაისაჯა კიდეც — კარიაკას პასისას კერჟაკოვი შევარდა ბურთიანად საჯარიმოში, თუმც ბოლოწამს კარვალიუ წამოეპარა და ისევ გადარჩა მასპინძელი. მერე კი ორჯერ აუღო დეკოს შორეული დარტყმები მალოფეევმა და კიდევ ერთი საინტერესო ეპიზოდიც შეიქმნა. უხეში თამაშისთვის დაჯარიმებულმა ალენიჩევმა მსაჯის სასტვენის შემდეგ მის მიერვე წაქცეულ პორტუგალიელს გაბოროტებულმა გაარტყა ბურთი. ამისთვის ყვითელი ბარათიც დაიმსახურა, საინტერესო კი ის იყო, რომ ის წაქცეული კაცი მისი პორტუელი თანაგუნდელი და დოსტი მანიშე გახლდათ. მოკლედ, ფეხბურთში მეტოქეობამ ძმობა არ იცის.

პორტუგალიამ მაინც გაიტანა. სკოლარიმ ათიანში გაარტყა — მეორე გოლი შეცვალზე შესულებმა გამოაცხვეს: კრისტიანო რონალდოს უზადო ფლანგურ პასს სწორი პოზიცია შეურჩია რუი კოშტამ და წამით დაასწრო მცველთაგან მიტოვებულ მალაფეევს.

ნამატჩევს რუსულმა სააგენტოებმა განგაში ატეხეს: ოვჩინიკოვის უსამართლო გაძევებამ რუსეთს შანსი წაართვაო. თავისი საქმისა რუსმა იცის, მაგრამ პორტუგალიას წუხელ ოვჩინიკოვიანი რუსული ყინულის გაჭრაც შეეძლო თუნდაც კლასის და მოტივაციის ხარჯზე. რუსის საფიქრალი წესით ის უნდა იყოს, ტრადიცია არ წაიმურდლოს და უგოლოდ არ დატოვოს ევროპის ჩემპიონატი.

REUTERS ლოსაბონიდან

რუსეთმა გულდათუთქული ყუშანაშვილი კარგადაც დაითეთქვებოდა

16 ივნისი
A ჯგუფი. II ტური
ლისაბონი. ლუზი

რუსეთი 0 — 2 პორტუგალია

0:1 მანიშე (7), 0:2 რუი კოშტა (89)

რუსეთი

1 ოვჩინიკოვი

4 სმერტინი, 21 ბუგაევი

16 ევსეევი, 17 სენიკოვი

22 ალდონინი

15 ალენიჩევი, 5 კარიაკა

20 ლოსკოვი

7 იზმაილოვი

11 კერჟაკოვი

მწვრთნელი: გეორგი იარცევი

შეცვლა
ალდონინი — 12 მალაფეევი (45), იზმაილოვი — 19 ბისტროვი (72), კარიაკა — 9 ბულიკინი (79)

პორტუგალია

4 ჟორჟე ანდრადე, 16 რ. კარვალიუ

13 მიგელი, 14 ნუნუ ვალენტე

6 კოშტინია

7 ფიგუ, 18 მანიშე, 20 დეკო, 11 სიმაო

9 პაულეტა

მწვრთნელი: ლუიშ ფელიპე სკოლარი

შეცვლა
პაულეტა — 21 ნუნუ გომეში (57), სიმაო — 10 რუი კოშტა (63), ფიგუ — 17 კ. რონალდო (78)

გაფრთხილება: სმერტინი (16), ევსეევი (21), კარვალიუ (24), დეკო (85), ალენიჩევი (86)
გაძევება: ოვჩინიკოვი (45)
მსაჯი: ტერიე ჰაუგე(ნორვეგია). 60 000 მაყურებელი

ჯარიმა: 25-19; **კუთხური:** 1-6; **კარისკენ დარტყმა:** 3-6; **კარში დარტყმა:** 2-8; **თამაშგარე:** 1-2

REUTERS ლოსაბონიდან

სარისკო გამოსვლა ოვჩინიკოვს მოედნიდან გასვლად დაუჯდა

ოტო რეჰაგელი

ახლა მეოთხედფინალზე ფიქრიც შეიძლება. ესპანეთსაც მოსაგებად ვეთამაშეთ, ამიტომ ჩვენს ჟინიანობას სიხისტე და ყვითელი ბარათები მოჰყვა

საბერძნეთი 1 — ესპანეთი 1

16 ივნისი
A ჯგუფი. II ტური
ჰორტუ. ბესა

0:1 მორიენტესი (28), 1:1 ხარისტიასი (66)

საბერძნეთი	ესპანეთი
1 ნიკოპოლიდისი	23 კასილიასი
19 კაპსისი, 5 დელასი	6 ი. ელგერა, 3 მარჩენა
2 სეიტარიდისი, 14 ფისასი	5 პუიოლი, 15 რაულ ბრავო
7 ზაგორაკისი	4 ალბელდა, 8 ბარახა
20 კარაგუნისი	17 ეჩეგერია, 14 ვისენტე
8 იანაკოპულოსი, 21 კაცურანისი	7 რაული
9 ხარისტიასი, 15 ვრიზასი	10 მორიენტესი
მწვრთნელი: ოტო ბარიჩი	მწვრთნელი: ინაკი საესი
შეცვლა: იანაკოპულოსი — 11 ნიკოლაიდისი (49), კარაგუნისი — 10 ცარტასი (53), ფისასი — 3 ვენეტიდისი (86)	შეცვლა: ეჩეგერია — 19 ხოაკინი (46), მორიენტესი — 21 ვალერონი (65), რაული — 9 ფ. ტორესი (80)

გაფრთხილება: კაცურანისი (6), მარჩენა (16), იანაკოპულოსი (24), კარაგუნისი (27), ელგერა (37), ზაგორაკისი (61), ვრიზასი (90)
მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი). 25 444 მაყურებელი

ჯარიმა: 18-19; კუთხური: 2-15; კარისკენ დარტყმა: 2-8; კარში დარტყმა: 6-6; თამაშგარე: 2-1

ინაკი საესი

მეორე ტაიმში ერთადერთი შეცდომა დავუშვით და ის გაშვებულ გოლად დაგვიჯდა. შეტევით ჯარგად ვუტევდით, თუმცა მეტწილად ძალიან საიმედოდ წამოწყებულ კომბინაციას ცუდად ვაგვირგვინებდით

ორი მეფე: ლენარტ იუჰანსონი და ხუან კარლოსი

REUTERS ბორტუდან

ფავორის სერიოზული

ბერძნებმა და ესპანელებმა თავი შეიქეს



კაკუნა კედია

მაშ ასე, ბერძენთა და ესპანელთა 1:1 იმას ნიშნავს, რომ ორივე გუნდი მეოთხედფინალში გასვლის შანსს ინარჩუნებს. პორტუში, ცხადია, ცხელოდა, მაგრამ თამაში წინა დღეების პირველ მატჩებთან შედარებით სწრაფი იყო, რაც, ალბათ, გამარჯვების განსაკუთრებული სურვილის გარდა იმითაც იყო განპირობებული, რომ როგორც ესპანელები, ასევე ბერძნები, ხვატს ნაჩვევნი არიან.

ესპანელებმა შეუტიეს, ბერძნებმა, როგორც მოსალოდნელი იყო, გააზრებული შავი სამუშაო გასწიეს და, როგორც ნახეთ, არც წაუგიათ, მაგრამ თავიდან იყო ფერნანდო მორიენტესის გოლი.

უნდა აღინიშნოს, რომ ესპანელების მწვრთნელმა ინაკი საესმა ზუსტად იგივე შემადგენლობა გაიყვანა მოედანზე, რაც პირველ დღეს, რუსების წინააღმდეგ ჰყავდა. მას არც ყველაზე მოსალოდნელი ცვლილება განუხორციელებია — რუსებთან თამაშის გმირი, ხუან კარლოს ვალერონი ისევ სათადარიგოთა სკამზე იჯდა. ბერძნების კარს ნაცადი წყვილი, რაული-მორიენტესი უტევდა, ხოლო ფლანგებიდან მათ ხოსება ეჩებერია და ვისენტე ეხმარებოდნენ.

რაც შეეხებათ ბერძნებს, მათ პორტუგალიის მძლეველ შემადგენლობასთან შედარებით ერთი მოთამაშე ჰყავდათ შეცვლილი — ნახევარდაცვაში ანგელოს ბასინასის მაგივრად კონსტანტინოს კაცურანისი ტრიალებდა. თავდასხმაში კვლავ არ იყო დემის ნიკოლაიდისი ანუ იქ ძველებურად ვრიზასი და ხარისტიასი იყვნენ დაკავებულნი. აღსანიშნავია, რომ კაცურანისს რაულის ჩრდილად ქცევა, მისი მჭიდრო მეურვეობა ჰქონდა დავალებული. ბერძნები საგანგებო მონდომებით და დაკვირვებით ამაგრებდნენ ფრთებსაც, რადგან ესპანელთაგან ხიფათს უპირველესად სწორედ მარცხნიდან და მარჯვნიდან ელოდნენ.

ანგარიში 28-ე წუთზე გაიხსნა, როდესაც მიხალის კაპსისმა პასი თავისიანის ნაცვლად რაულს მიაწოდა, მან კი ქუსლით დაუტოვა ბურთი მორიენტესს, რომელმაც გაისწორა და დაბლა დაარტყა მეკარე ანტონიოს ნიკოპოლიდისისთვის მიუწვდომელ ადგილას, კუთხეში.

მეორე ტაიმში ძალიან ეფექტური გამოდგა ის მომენტი, როდესაც ვრიზასმა დაარტყა შორიდან და სულ ოდნავ ააცილა. მთელი თამაშის განმავლობაში თვალშისაცემი გახლდათ ესპანელების მარჯვენა მცველის, ბარსელონელი კარლეს პუიოლის აქტიურობა და ოსტატობა.

გათანაბრებით კი ბერძნებმა 66-ე წუთზე გაათანაბრეს, როდესაც ცარტასმა ბრწყინვალე პასი მიაწოდა ხარისტიასს და მანაც შანსი ხელიდან არ გაუშვა.

საინტერესოა, რომ ანგარიშის გარდა თამაშის თანაბრობას ნაწილობრივ სტატისტიკაც მეტყველებს. ჯარიმები, მაგალითად, 18-19 გახლდათ ანუ ესპანელები ერთით მეტით დაჯარიმებულან. კარში ორივე მხარემ ექვს-ექვსჯერ დაარტყა, ოფსაიდებში 2:1 გახლდათ ბერძნების „სასარგებლოდ“, თუმცა კუთხურებში სხვაობა მეტისმეტად დიდი გამოვიდა: ბერძნებმა მხოლოდ ორჯერ ჩააწოდეს, ესპანელებმა კი 15-ჯერ.

მატჩის შემდეგ ესპანელთა მწვრთნელმა, ინაკი საესმა განაცხადა: „მეორე ტაიმში ერთადერთი შეცდომა დავუშვით და ის გაშვებულ გოლად დაგვიჯდა. შეტევით კარგად ვუტევდით, თუმცა მეტწილად ძალიან საიმედოდ წამოწყებულ კომბინაციას ცუდად ვაგვირგვინებდით. საერთოდ, თამაში ჩვენი კარნახით მიმდინარეობდა“.

ნახევარმცველი დავიდ ალბელდა: „ისეთი მებრძოლი გუნდის წინააღმდეგ, როგორიც საბერძნეთია, ერთი შეცდომის უფლებაც კი არ გვქონდა. ახლა ყველაფერი პორტუგალიელებთან მატჩში გაირკვევა, მაგრამ ჩვენ ხომ აქ სწორედ მნიშვნელოვანი თამაშებისთვის ჩამოვედით“.

ბერძენთა გოლის ავტორი ანგელოს ხარისტიასი: „დღეს დავამტკიცეთ, რომ პორტუგალიისთვის შემთხვევით არ მოგვიგია. ძალიან სერიოზული გუნდი გვყავს, გამოცდილი და მებრძოლი, რომელიც ყოველ შეხვედრაში ბოლომდე დაიხარჯება. ესპანელებთან მეორე ტაიმში ისე ვითამაშეთ, როგორც ფავორიტებმა. რაღა დაგვრჩა, ბოლო ტურში რუსებს უნდა მოვუგოთ“.

საბერძნეთი	2	1	1	0	3:2	4
ესპანეთი	2	1	1	0	2:1	4
პორტუგალია	2	1	0	1	3:2	3
რუსეთი	2	0	0	2	0:3	0

III ტური: 20 ივნისი
რუსეთი — საბერძნეთი
ესპანეთი — პორტუგალია

ანგელოს ხარისტიასის გოლმა ბერძნები მეოთხედფინალისკენ გააჭედა

REUTERS ბორტუდან

I ტურის საუკეთესო მოთამაშე

ზინედინ ზიდანი (საფრანგეთი)

2000 წელი. როტერდამი. პელემ თქვა...

შეუძლებელია პირველი ტურის საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელო ვინმე სხვა — საუკეთესო ცხადია, ზინედინ ზიდანი გახლდათ, რადგან ამ ტურში ყველაზე დიდი რამ მან მოიმოქმედა

„როდესაც ბურთი მიწაზე დავდე, ვიცოდი, რომ თამაშის დამთავრებამდე მეტისმეტად ცოტა დრო რჩებოდა და მივხვდი, რომ უნდა დამერტყა, რადგან ეს ერთ-ერთი ბოლო მომენტთაგანი იყო, იგივე მოხდა პენალტის ეპიზოდშიც. ძალიან მინდოდა მე დამერტყა. ხოლო, როდესაც გოლი გაგაქვს, ფეხბურთი ძალიან მარტივ თამაშად გეჩვენება " — თქვა ფრანგთა მეათე ნომერმა.

ასე „მარტივად" მოუგო საფრანგეთმა, უფრო სწორად კი ზინედინ ზიდანმა ინგლისს.

რა ვთქვათ ზიდანზე? მოდით, ზუსტად ოთხი წლის წინანდელი ამბავი გავიხსენოთ, ევროპის წინა ჩემპიონატის ფინალის დღე, მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე როტერდამის „ფეიენოორდის" სტადიონის ტერიტორიაზე სახელდახელოდ აგებულ საპრესკონფერენციო „კარავში" მასტერკარდის ეგიდით პელემ ჟურნალისტები რომ შეჰყარა. მაშინ დიდ ბრაზილიელს ბევრი რამ ჰკითხეს, მათ შორის ერთი ზიდანზეც, პელემ სიტყვასიტყვით ასე უპასუხა:

„გახსოვთ 1982 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი? მაშინ ერთი ამბავი ატყდა — როსი, როსიო, ყველა გაიძახოდა, მაგრამ დამთავრდა პირველობა და როსი სადღაც დაიკარგა. სწორედაც... დიდი ფეხბურთელები სხვათაგან მხოლოდ თამაშის ხარისხით კი არ განსხვავდებიან, არამედ იმითაც, თუ რამდენი წელიწადი ითამაშეს ამ დონეზე. ზიდანი უთუოდ ბრწყინვალე ფეხბურთელია და თუ დღეიდან კიდევ ოთხი წელიწადი ასე ითამაშებს, შეგიძლიათ ჩემს, კრუიფის, ბეკენბაუერისა და მსგავსთა გვერდით დაასახელოთ".

ოთხი წელიწადი გავიდა: მაშინ 2000 წელი იყო, დღეს 2004-ია.

„კვირას მართლაც განსაკუთრებული რამ გავაკეთე — დასძენს ზიდანი — უპირველესად იმიტომ, რომ დაძაბული თამაში იყო, მეორედ იმიტომ, რომ ეს გახლდათ ჩვენი პირველი მატჩი, მესამე იმიტომ, რომ ეს გახლდათ ჩვენი ჯგუფის უძნელესი შეხვედრა და ბოლოს იმიტომ, რომ ინგლისის დამარცხება საგანგებო ამბავია. ამას რომ ვამბობ, არავის განაწყენება არ მსურს".

შემდეგ ზიდანს ის კადრი შეახსენეს, ის და მისი მადრიდელი თანაგუნდელი, დევიდ ბექემი მოედნის ცენტრში რომ შეჩერდნენ ერთმანეთის პირისპირ.

„ასეთ დროს ადამიანს თავი უნდა დაანებო. მე მისი შეწუხება არ მინდოდა, ჩვენ მხოლოდ მაისურები გავცვალეთ".

ჩვენ კი ზიდანისა და ევროპის ჩემპიონატზე შეკრებილი სხვა ვარსკვლავებისგან კვლავაც დიდი ფეხბურთის ნახვა გვინდა.

პაპუნა კედია



I ტურის საუკეთესო მწვრთნელი

ოტო რეჰაგელი (საბერძნეთი)

რომელი თამაში დამთავრდა მეტოქე გუნდზე არა ფეხბურთელების, არამედ მწვრთნელის ამბარა გამარჯვებით? გასაგებია, რომ მეტაფორული ნათქვამია, მაგრამ მაინც?..

გასაგებია, რომელიც. ეს იყო მატჩი, რომელმაც საფეხბურთო ქვეყანათა შორის ერთ-ერთი ყველაზე საფეხბურთო, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის, ბრაზილიის მშობელი პორტუგალია ერთიანად დაზაფრა და გულზე დიდი ლოდი შემოადო. ეს იყო შეხვედრა, რომელშიც ოტო რეჰაგელმა ევრო 2004-ის მასპინძლებს 2:1 მოუგო

გლეხი დიდ ქალაქში

ოტო რეჰაგელი საბერძნეთის ნაკრების მწვრთნელია. ამჯერად ეს აქტუალური არ არის, მაგრამ საბერძნეთი საქართველოს ნაკრების მომავალი მეტოქე გახლავთ.

ისე კი, რეჰაგელი თბილისში ნამყოფია. 1987 წელს სწორედ ის გახლდათ იმ ბრემენის „ვერდერის" მწვრთნელი, რომელმაც რუსი გერმან ზონინის მომზადებული „დინამო" უეფას თასიდან გააგდო. მაშინ „დინამოსა" და „ვერდერს" შორის დაძაბული და დასამახსოვრებელი, დრამატული მატჩები გაიმართა.

რეჰაგელმა „ვერდერი" ორჯერ მიიყვანა ბუნდესლიგის სასალათემდე, ხოლო შემდეგ, 90-იან წლებში იმავე ბუნდესლიგას ერთი ექსკლუზიური ამბავიც გამოადნო — მეორე ბუნდესლიგაში გაგდებული „კაიზერსლაუტერნი" ერთ წელიწადს რომ დააბრუნა ბუნდესლიგაში, მეორე წელიწადს იქაც ჩემპიონი გახადა.

ახლა ოტო რეჰაგელი ბერძნულ სასწაულს სჩადის.

და კიდევ, ის არასდროს ყოფილა „ბაიერნის", „იუვენტუსის", „რეალის", „მილანის", „არსენალის", „ბარსელონას", გერმანიის, არგენტინის, ბრაზილიის, იტალიის, ინგლისის ნაკრებების და სხვა ბობოლათა მეთაური. „პატარა სოფლის" „დიდ ქალაქად" ქცევა ეხერხება.

პაპუნა კედია

I ტურის სიმბოლური ნაკრები

I ტურის სტატისტიკა

ყვითელი ბარათი

რომან შარონოვი	რუსეთი	2
იოჰან ფოგელი	შვეიცარია	2
გეორგიოს კარაგუნისი	საბერძნეთი	1
იურკას სეიტარიდისი	საბერძნეთი	1
ფრანსისკო კოშტინია	პორტუგალია	1
პედრუ პაულეტა	პორტუგალია	1
როლან გუსევი	რუსეთი	1
ალექსეი სმერტინი	რუსეთი	1
ევგენი ალდონინი	რუსეთი	1
ვლადისლავ რადიმოვი	რუსეთი	1
რუბენ ბარახა	ესპანეთი	1
კარლოს მარჩენა	ესპანეთი	1
დავიდ ალბელდა	ესპანეთი	1
დადო პრსო	ხორვატია	1
ნენად ბიელიცა	ხორვატია	1
მილან რაპაიჩი	ხორვატია	1
ივიცა მორნარი	ხორვატია	1
ბორის ჟივკოვიჩი	ხორვატია	1
პოლ სქოულზი	ინგლისი	1
ფრენკ ლამპარდი	ინგლისი	1
დევიდ ჯეიმსი	ინგლისი	1
რობერ პირესი	საფრანგეთი	1
მიკაელ სილვესტრი	საფრანგეთი	1
იორგ შტილი	შვეიცარია	1
ბენჟამინ ჰუგელი	შვეიცარია	1
ივაილო პეტკოვი	ბულგარეთი	1
როსენ კირილოვი	ბულგარეთი	1
ზორან იანკოვიჩი	ბულგარეთი	1
ვლადიმირ ივანოვი	ბულგარეთი	1
იონ დალ ტომასონი	დანია	1
თომას ჰელვეგი	დანია	1
ფაბიო კანავარო	იტალია	1
ანტონიო კასანო	იტალია	1
ჯენარო გატუზო	იტალია	1
ფრანჩესკო ტოტი	იტალია	1
ზლატან იბრაჰიმოვიჩი	შვედეთი	1
ტობიას ლინდეროტი	შვედეთი	1
კევინ კურანი	გერმანია	1
მიხაელ ბალაკი	გერმანია	1
ფილიპ კოკუ	ჰოლანდია	1
იაპ სტამი	ჰოლანდია	1

ბომბარდირები

ზინედინ ზიდანი	საფრანგეთი	2
ჰენრიკ ლარსონი	შვედეთი	2
გეორგიოს კარაგუნისი	საბერძნეთი	1
ანგელოს ბასინასი	საბერძნეთი	1
კრისტიანო რონალდო	პორტუგალია	1
ხუან კარლოს ვალერონი	ესპანეთი	1
ფრენკ ლამპარდი	ინგლისი	1
ფრედერიკ ლიუნგბერგი	შვედეთი	1
ზლატან იბრაჰიმოვიჩი	შვედეთი	1
მარკუს ოლბოკი	შვედეთი	1
მარის ვერპაკოვსკისი	ლატვია	1
მილან ბაროში	ჩეხეთი	1
მარეკ ჰაინცი	ჩეხეთი	1
ტორსტენ ფრინგსი	გერმანია	1
რუუდ ვან ნისტელროი	ჰოლანდია	1

წითელი ბარათი

რომან შარონოვი	რუსეთი	1
იოჰან ფოგელი	შვეიცარია	1

გიო ახვლედიანი
პორტუგალიიდან

სამუშაოს განაწილება
პორტუგალიური რტყმა-კოჭვა ინგლისურ ნადრინჭალზე

აკი მოგახსენებდით, ჩემი გუშინდელი იმედიანი ნალაპარაკევი შეიძლება მალევე გაცუდდეს-მეთქი. ისე მოგეცათ ლხენა, წუხელის ბლომად ინგლისელები დაუჭერიათ, ათასთაგან ბარე 32 კაცი, რომლებიც ალგარვეს კურორტში დგანან ბანაკად. ბოთლებით მოუწყვიათ კანონადა და შეტევა იქაურ პოლიციაზე, რომელსაც თავი არ შეურცხვენია და გაუკოჭავს ეს ოთხდღიანი სმით დროსა და სივრცეში დაკარგული ჯეელები, რომლებიც ნაშუაღამევს ბარების დაკეტვისთანავე გამოეფინენ მოედანზე და წინასწარ დამარაგებული ბოთლებიდან იწყეს სმა, მერე კი ბოთლების ხეთქება ნაირგვარ მხარეს.

დატუსაღებულ ინგლისელთა ასაკიც ტრადიციულია, მამაშვილური: 19-დან 46 წლამდე. ანუ 46 წლის კაცები ჭკუას კი არ არიგებდნენ წვევამდელებს, არამედ წინ მიუძღოდნენ. ერთი შეხლა მომხდარა ალბუფეირას კურორტზეც, სადაც მთვრალ რუსს შუხური აუწევია მავან პორტუგალიელთან. ალბათ, თუ ეუბნებოდა, რასია დიდია და ფარუს სოჭი სჯობიაო. ორივენი დაუჭერიათ. ინგლისის ვექილებმა კვლავ წამოყვეს თავი, ეს ვინა ყოფილან პორტუგალიელი პოლიციელები, ეგრევე მუშტზე და დრინზე არიანო, ჩვენებურად, ხანგრძლივად კი არ ესაუბრებიან შემთვრალ ბიჭებს და კი არ ეფერებიან, ერთორს ზრდილობის გულისთვის ეტყვიან, მორჩითო და თუ არ გავიდა, მერე რტყმით იწყებენ და კოჭვით ამთავრებენო. დიახ, თუმცა ეს ჩხუბები და დაჭერები ფანების სახელით კი ხდება, მაგრამ უშუალოდ ფეხბურთთან კავშირში არაა, ვინაიდან სულ ფეხბურთსგარეთა რეზორტებში ხდება.

ამიტომ დიდი არაფერი, თუმცა სამშაბათს ღამით პორტუში გვარიანად გრიალებდნენ გერმანელებიც და ჰოლანდიელებიც, მაგრამ ხულიგნობა არ ყოფილა. ათასობით კაცი ერთმანეთის პირისპირ იყო სტადიონზე და მერე ქალაქის მოედნებზეც და იქ არაფერი მომხდარა. გრიალი და სიმღერა კი იცოცხლეთ.

ორივემ კარი მაგარი ქომაგობა იცის და თუკი ჰოლანდიელები რიცხვით სჭარბობდნენ გერმანელებს, ესენი ხმაშეწყობილი დოიჩლანდ-დოიჩლანდით და უზუსტესი ორგანიზებულობით გამოირჩეოდნენ. თამაში თავადაც გინახავთ, თამაშს გარეთ კი ერთი საინტერესო მომენტი ის იყო, რომ პრესცენტრში ჰოლანდიელი ჟურნალისტები გერმანიის ჰიმნს ფეხზე არ წამოუდგნენ, ამას მოყოლილი დაბალი მიწების სამეფოს ჰიმნზე კი გერმანელები არ გაინძრნენ, მხოლოდ რამდენიმე მათგანი წამოიმართა ბოლოსკენ. ისიც ალბათ იმიტომ, რომ ეჩვენებინათ, აი, ასეთები ვართ, თქვენს სისულელეს ყურადღებას არ ვაქცევთო. ეს ისე, ვითარცა ურთიერთობა ერთმანეთის მეზობელ დიდ და პატარა ერებს შორის ერთიან ევროპაში, რომელსაც საზღვრები არა აქვს. საკვირველი კი ის არის, რომ 11-მილიონიან ჰოლანდიას ბევრად მეტი გულშემატკივარი ახლავს, ვიდრე მასზე ექვსგზის დიდ გერმანიას და „დრაგაუს“ სამი მეოთხედიც ნარინჯისფერი იყო.

რუუდ ვან ნისტელროი და ნარინჯისფერი სიხარული

ყველაზე კლასიკურ შეხვედრად გამოცხადებული თამაში კი ვერ იყო იმ გაქანებისა, რასაც მოელოდნენ. „უილიამ ჰილმა“ ლონდონში ყველაზე უკეთ იცის, რა ხდება გუნდებში და როგორ არიან ისინი მზად. შესაბამისად, მისგან გამოქვეყნებული შანსების ცხრილი, რომელიც ყოველდღიურად იცვლება, სამართლიანია. ჩემპიონატი კი ისეთი გახურდა, რომ მართლა ვერ გაიგებ, ვინ და როგორი იქნება ხვალ.

ამასობაში კი მოგახსენებთ, რომ ავეირუ მშვენიერი და ლეგენდარული პორტუგალიური ქალაქია ჩრდილოეთში, რომელსაც აქაურ ვენეციასაც უწოდებენ. როგორც პორტუგალიური ქალაქების სრული უმრავლესობა, ავეირუც ნავსადგურია და თან უხსოვარი დროიდან. არხებით დასერილ ქალაქს თავისი წილი გონდოლებიც აქვს, ავეირული ნავები, რომლებსაც მოლისეირუ ჰქვია. ავეირუში წითელ-ყვითლად შეღებილი სტადიონი „მუნიციპალია“ და სწორედაც იქ უნდა წასულიყო თქვენი მონა-მორჩილი გუშინ, რათა ჩეხთა და ლატვიელთა თამაშისთვის ეცქირა, ოღონდაც თქვენმა მონა-მორჩილმა ადრევე გააუქმა აკრედიტაცია ამ თამაშზე და გერმანია-ჰოლანდიაზე დამატებითი აკრედიტაციის რიგში ჩაეწერა, რაიც მიიღო კიდეც.

ეს ამბავი მოსაყოლი არც იქნებოდა, ლატვიას რომ გამხსნელი გოლი არ გაეტანა და „დრაგაუს“ პრესცენტრში ნახევარი საათის განმავლობაში სინანულს რომ არ დაერია ხელი ჩემთვის, აჰა, თითქმის ისტორიულ მოვლენას, ლატვიელთა გამარჯვებას ხომ არ გამოვაკლდიო. თუმც, ჩეხებმა მაინც მოახერხეს საქმე, ისევ ბებერმა კარელ პობორსკიმ, თუმცა აქამდე სადაოვა, მისგან აცეკვებული ბურთი გადასცდა თუ არა კუთხურის ხაზს. არაო, ბოლომდე არ გადაცდენიაო. ლატვიელები კი, მტკიცე მეომრები, მაინც წაგებულები დარჩნენ.

ჩეხთა მწვრთნელმა კარელ ბრუკნერმა მეტად აქო ბალტიელები, აი, ხალხიო, თუმცა ჩვენ არ გვინერვიულიაო. ეჭვი გამხელილი სჯობს და, ჩემი მოკლე ჭკუით, თუ ჩეხმა ფრთა გაშალა, გერმანიის და ჰოლანდიის დამყუდებელიც ჩანს, თუ, რა თქმა უნდა, ჰოლანდიელთა რაღაცნაირ ილაჯგაწყვეტილობას და გერმანელების მხოლოდ და მხოლოდ გერმანელობის ხარჯზე თამაშს რაიმე მაგარი არ დაემატება. ვთქვათ, თუ შვაინსტაიგერი თავიდანვე ისე იფრენს, როგორც შეცვლაზე შემოსვლის შემდეგ იფრინა „დრაგაუზე“ და თუ ჰოლანდიური ნახევარდაცვა სიფხიზლეს დაიბრუნებს. რა ვიცი, ვნახოთ. აკი მოგახსენეთ, ისეთი ჩემპიონატი ჩანს, იოლი პროგნოზებისა არაფერი ეტყობა.

აქ კი საქმე სხვა არის. გუშინ დილიდანვე უეფამ მრისხანე წერილით მიმართა ჩემნაირ ხალხს, ანუ იმათ, ვინც წარა-მარა აუქმებს წინასწარ შეთანხმებულ აკრედიტაციებს, ანდა გაუქმებას არც კადრულობს, პირდაპირ აცდენს თამაშებს. ამნაირი ოთხ დღეში სულ მოგროვილა 1031 თხოვნა, ამ თამაშზე წასვლა არ მინდაო, სხვაზე მინდაო, 351 კაცს კი შეტყობინებისთვის თავი არც შეუწუხებია. თქვენ ვინა ხართო, ამუნათებს უეფა ჟურნალისტებს, სტადიონები გადაჭედილია, პრესლოჟები კი სანახევროდ ცარიელიო, გეთქვათ და ჟურნალისტების ადგილებს უბრალო ხალხს დავუთმობდეთო. თავის მხრივ, კი პრესას ალ-გაეტანა, ცვლას სურს მნიშვნელოვან ადგილას მეხვდეს. ეფუ-ს ლეგენდას ავალ-ა მეტად ლიბერალურია აკრედიტაციების საკითხში და მედიამ ეს მშვენივრად იგრძნო. ამიტომ ფეხბურთის ბიუროკრატებს მათივე კანონებიდან გამომდინარე, ბანქოს წარამარა აჭრას აიძულებს. უეფა კი იმუქრება, პლეიოფები მოვა და ყოფას გიტირებთ, შეგზლუდავთო, რაიც სისულელეა, ვინაიდან ამით პრესლოჟა კიდევ უფრო დაცარიელდება. უბრალო თამაშებს, ვთქვათ, ნახსენებ ჩეხეთ-ლატვიას მართლაც აკლდა პრესა. ჩემისთანა ბარე 50 გამოდგა. თუმცა, ცხადია, რომ ის თამაშიც საინტერესო იყო. ანგარიშგასაწევი კი, აი, რა არის: რუსთა გუნდი ხომ რუსთა გუნდია და, ამ ჩემპიონატზე ყველაზე მეტი რუსი თამაშობს და, აი, როგორ — საკუთრივ 23 რუსი თავად იარცევის გუნდშია, ლატვიის ნაკრების ამდენივე კაციდან კი 16 ეთნიკური რუსი, უკრაინელი და პოლონელია, ამათგან 10 პირწმინდა რუსი. ლატვიას აქ უკვე აქვს რუსეთზე უკეთესი პრესა და საერთოდ, ლატვია ყოჩაღ.

მე კი ნამდვილად არ მინანია, რაც „დრაგაუს“ პრესცენტრში ვნახე. იმ შუადღით იქ ტელეწამყვანებად მყოფი რამდენიმე ადამიანი გამოჩნდა, ვთქვათ, რობერტ პროსინეჩკი, რომელიც მშობლიურის გარდა ვერცერთ ენაზე ვერ მეტყველებს, ძველი მადრიდელი მიჩელი და, რაც მთავარია, ბერიკაცი გი რუ, ვისთან დამდგარ ჟურნალისტთა რიგში მეც ამოვყავი თავი, ოღონდაც მოხუცმა მხოლოდ პირველი ჟურნალისტი დაკმაყოფილა და ისიც ისე, რომ გზადაგზა ხშირ-ხშირ დასცქეროდა თავის მობილურს და რაღაც ნომრებსაც კრეფდა. მერე კი ტელეფონზე ლაპარაკი მოიმიზეზა, ჩამოჯდა, 20 წუთს იხითხითა მობილურში, პრესცენტრის სკამს წამოავლო ხელი და სადღაც გაუჩინარდა. მგონი, ვიპ ზონაში გაილალა, აქ არ მომასვენებენო, ოღონდაც სკამი რად უნდოდა, ძნელი სათქმელია, იქ სავარძლებია ტელეელიტისთვის. რუს ნალაპარაკევში რასაც ყური მოვკარი, დანია შეაქო, ჯანიანი და ჭკვიანი გუნდია, გაიქაჩებიანო. პატარა ღილებივით თვალები კეთილად უციმციმებდა და თახთახებდა. საერთოდ კი, უკეთ რომ წარმოიდგინოთ, მობერებულ სახურავის ბინადარ კარლსონს ჰგავს.

ძალიან მინდა, რომ გაიგონოთ ის საოცარი და ამანთებელი გუგუნი, „დრაგაუ“ რომ გამოსცემდა ჰოლანდია-გერმანიის თამაშისას და ძალიან მინდა, გადმოგცეთ ჩვენი უბნის კანფეიტერიას (კაფე) „ტროპიკანას“ დახლიდარის ფერნანდუს სიტყვები: სკოლარი უზრდელი კაცია, პორტუგალიის მწვრთნელობა ჟოზე მაურინიუს დამშვენდებოდა, აი, რა უქნა ჟოზემ „პორტუს“.

ამასობაში ჩრდილოეთ პორტუგალიისკენ სამხრეთ კურორტებიდან მოემართებიან ინგლისელებით დაძეძგილი ჩქარი მატარებლები. ხვალ კოიმბრას სიდადეს, რაც ციხე-სიმაგრეს ნიშნავს, ორი თეთრწითელი ლაშქარი შეესევა.

ჩვენც იქ ვიქნებით, ჰოდა, მოგაწვდენთ ხმას.

ჩვენ ვართ ჩვენ

ჯონი ერიკსონს არ აქვს ინფორმაცია





B ჯგუფი. II ტური. დღეს

კოიმბრა. სიდადე დე კოიმბრა . 21.00

ინგლისი — შვეიცარია

სავარაუდო შემადგენლობები

ჯეიმსი; გ. ნევილი, ტერი, კემპბელი, ე. კოული; ბექემი, ლამპარდი, ჯერარდი, ჰარგრივსი; ოუენი, რუნი

შტილი; ჰაასი, მ. იაკინი, მიულერი, შპიხერი; ჰუგელი, სელესტინი, ვიკი; ჰ. იაკინი; ფრეი, შაპუიზა

მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

სამწუთიანი კოშმარიდან მეოთხე დღეს ინგლისის ნაკრები შვეიცარიას ხვდება.

ინგლისის ნაკრები ახლა ლიდერი უნდა ყოფილიყო, მაგრამ რა ვუყოთ, რომ ფრანგებს ზინედინ ზიდანი ჰყავთ.

სვენ გორან ერიკსონი დარწმუნებულია, რომ **ის** აღარ განმეორდება.

— ჩვენ უკვე დავივიწყეთ ფრანგებთან მატჩის ბოლო სამი წუთი. დღეს ჩვენ ვითამაშებთ ისე, როგორც ფრანგებთან, ოღონდ იმ სამი წუთის გამოკლებით. ჩვენ ყოველ მომდევნო მატჩშიც ძალიან კარგად ვითამაშებთ — თქვა ერიკსონმა.

მან ასევე თქვა: „ჩვენ ყველას დავანახებთ, რომ ყველაფერი **წლ**ია. რომ ჩვენ ინგლისელები ვართ და წარმოდგენას კიდევ გავითამაშებთ.“

დღევანდელი მატჩის წინ კი ინგლისელთა ბანაკში არის კარგი და ცუდი ამბებიც. ცუდია, რომ დაშავებულია პოლ სქოულზი, კარგი კი ჯონ ტერის მომჯობინებაა. ტერი ალბათ შეცვლის ლედლი კინგს, რომლის ერთადერთი დანაშაული ვერ გეტყვით რა არის — ფრანგებთან ის ცუდად არ გარჯილა. სქოულზს კი შეცვლის ოუენ ჰარგრივსი, რომელიც კარგად შევიდა შეცვლაზე წინა მატჩში.

ეგებ, სასტარტოში იყოს კირონ დაიერიც. თუმცა უფრო მოსალოდნელია, რომ შეტევაში ინგლისს ისევ უეინ რუნი და მაიკლ ოუენი ეყოლება და მათი პასებით მომარაგება ისევ სტივენ ჯერარდს და ფრენკ ლამპარდს დაევალებათ.

შვეიცარიას არ ეყოლება იოჰან ფოგელი, რაკიღა ის ხორვატებთან მატჩისას გააძევეს. თან რა არის, იცით? შვეიცარიელებს მეოთხედფინალში გასვლა თუ უნდათ, „ოღონდ გოლი არ გავუშვათ“ პრინციპით თამაში არ გამოადგებათ, თორემ ეგრე ბულგარეთს და ლატვიას დაემსგავსებიან. ჰოდა, კობი კუნის გუნდი დევიდ ჯეიმსის კარზე ალექსანდრ ფრეის და სტეფან შაპუიზას დაგეშავს, ამათ ოდნავ უკან კი ჰაკან იაკინი იტრიალებს. და თუ ძალიან ძველი ამბის გახსენებას გვაპატიებთ, შვეიცარია არ იყო, 1981 წელს მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევში რომ მოუგო ინგლისს?

ბოდიში კიდევ ერთხელ უნდა მოგიხადოთ, მაგრამ ამჯერად იმისთვის, რომ რისი თქმა უნდა კობი კუნს ვერ გავიგეთ. კუნმა ასეთი რამ თქვა: „ჩვენ სპეციალური გეტრები გვაცვია, რომელიც ფეხზე ნორმალურზე მჭიდროდ ზის. ეს კი ფეხებს პორტუგალიური ხვატისგან იცავს და უკეთესად თამაშის საშუალებას გვაძლევს.“

არა, ზოგადად გასაგებია, რას ამბობს კობი კუნი, მაგრამ ის ვერ გავიგეთ, ვისაც ფეხები არ უოფლიანდება, თამაშს ის იგებს?

კიდევ კუნის იმის იმედი ჰქონია, რომ სვენ გორან ერიკსონმა მატჩის წინა ღამე უძილოდ გაატარა, ანუ ნერვიულობს. ნერვიულობა კი კარგად თამაშის მტერია.

კუნმა კიდევ ის თქვა, ინგლისელი ფეხბურთელები და მათი მედია ფიქრობს, შვეიცარიასთან იოლად მოვიგებთ და სწორედ აქ ცდებიანო. „როცა დაინახავენ, რომ უჭირთ, ანრვიულდებიან და შეცდომებს დაუშვებენ. ჩვენც ამით ვისარგებლებთ. მთავარია, პირველი 15 წუთი გავძლოთ. თუ ეს შევძელით, თამაშსაც გავათანაბრებთ, მერე კი ენახოთ. ყოველ შემთხვევაში, დასაკარგი არაფერი გვაქვს.“

სანტინის ბარიჩის ტაქტიკა არ აღარდებს მაკელელე მხარმა დაამშვიდა

B ჯგუფი. II ტური. დღეს

ლეირია. მაგალიაეშ ჰესოა. 23.45

ხორვატია — საფრანგეთი

სავარაუდო შემადგენლობები

ბუტინა; შიმიჩი, რ. კოვაჩი, ტუდორი, შიმუნიჩი, უივკოვიჩი; მორნარი, ნ. კოვაჩი, რაპაიჩი; ოლიჩი, შოკოტა

ბარტეზი; გალასი, ტურამი, სილვესტრი, ლიზარაზუ; პირესი, ვიეირა, მაკელელე, ზიდანი; ანრი, ტრეზეგე

მსაჯი: პიმ-მილტონ ნილსენი (დანია)

ჟაკ სანტინი

მსოფლის 1998 წლის ჩემპიონატის ნახევარფინალისტები დღეს ლეირიაში შეხვდებიან. საფრანგეთი თუ მოიგებს, მეოთხედფინალი განაღდებული ექნება, ხოლო ხორვატები მარცხის შემთხვევაში ალბათ ტურისტებს შეუერთდებიან.

დარიო შიმიჩი ერთადერთია, რომელსაც 1998-ში ფრანგების წინააღმდეგ ნახევაფინალში უთამაშია. ხორვატების ხუთი ფეხბურთელი შვეიცარიასთან მატჩში გააფრთხილეს და რომელიმე მათგანმა მეორე ყვითელიც თუ იხილა, ჯგუფის ბოლო თამაშს გამოტოვებს. იგორ ტუდორმა პირველი ტური დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვა და ფრანგებთან ძირითად შემადგენლობაში იქნება. ოტო ბარიჩმა შვეიცარიელებთნ ფრის შემდეგ განაცხადა, რამდენიმე ფეხბურთელს აუცილებლად შევცვლიო. დადო პრსოს ადგილს, სავარაუდოდ, მილან რაპაიჩი დაიკავებს. აღსანიშნავია, რომ ხუთი ყვითელი ბარათი ხორვატებს 10 ათასი შვეიცარიული ფრანკი დაუჯდათ. უეფამ სწორედ ამდენი გადაახდევინა გუნდს უხეშობისთვის.

„სამფეროვანთა“ მცველმა, ლილიან ტურამმა 100 სანაკრებო მატჩში მხოლოდ ორი გოლი გაიტანა და საოცარი, რამ ორივე ხორვატთა კარში, ზემოთ ხსენებულ მსოფლიოს 1998 წლის ჩემპიონატის ნახევარფინალში. დღევანდელ მატჩში ერთმანეთს რამდენიმე თანაგუნდელი შეხვდება — ბაიერნელი რობერტ კოვაჩი ვინი სანიოლს და ლიზარაზუს, ხოლო იუვენტუსელი იგორ ტუდორი დავიდ ტრეზეგეს.

„ფრანგებთან საომრად ყველა ფეხბურთელი მზადაა — თქვა ოტო ბარიჩმა — ტრავმირებულები არ გვყავს. ჩვენი მეტოქე, ცხადია, ფავორიტია, მაგრამ მოტივაციის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თანაბარი შანსი გვაქვს“.

ხორვატთა მწვრთნელის თანაშემწე დრაჟენ ლადიჩი: „ჩვენი მიზანია ფრე საფრანგეთთან, მაგრამ მოსაგებად ვითამაშებთ, ასეთ ძლიერ გუნდთან მარცხი კი ტრაგედია არაა“.

ფრანგთა საყრდენი ნახევარმცველი კლოდ მაკელელე ინგლისთან მატჩში დაშავდა, მაგრამ დღეს, სავარაუდოდ, ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს. მაკელელემ ემილ ჰესკისთან შეჯახებისას მხარი იტკინა. ექიმთა თავდაპირველი ვარაუდით, მას პორტუგალია უნდა დაეტოვებინა, მაგრამ ტრავმა უმნიშვნელო აღმოჩნდა. „ჩელსის“ ლეგიონერმა გუშინ გუნდთან ერთად ივარჯიშა.

რობერ პირესი: „ყველამ შესანიშნავად იცის, როგორ ვთამაშობთ და ამიტომ ნებისმიერი მატჩის მოგება ძალიან ძნელია“.

ზინედინ ზიდანი: „ დღეს თუ მოვიგეთ, მეოთხედფინაში გავალთ — ექვსი ქულით მეორე ადგილი გარანტირებული გვაქვს“.

1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალი, საფრანგეთი — ხორვატია. ამ მატჩის გმირი ზინედინ ზიდანი კი არა, ლილიან ტურამი იყო

ჟაკ სანტინი: „მე არ ვიცი, როგორ ტაქტიკურ სქემას დაგვიპირსპირებს ბარიჩი, მაგრამ ინგლისთან ფანტასტიკურად მოგებული თამაშის შემდეგ, უკვე არაფრის გვეშინია“.

ვაჟა ხუციშვილი

საფრანგეთი	1	1	0	0	2:1	3
ხორვატია	1	0	1	0	0:0	1
შვეიცარია	1	0	1	0	0:0	1
ინგლისი	1	0	0	1	1:2	0

III ტური: 21 ივნისი

შვეიცარია — საფრანგეთი

ხორვატია — ინგლისი

ობიექტი

ქრონიკული ინფერიორიტეტი

ოლივერ ჰანს რაფაელ ვან დერ ვაარტისთვის ცუდი არაფერი უნდოდა...

ინგლისელი, რა თქმა უნდა, დაიჯირეს

ამ ჩეხს ალენ ჰარის წიგნი ალბათ არ წაუკითხავს. ლატვიელთა გოლი სიგარეტად არ დირს?!

ლატვია იგებდა...



შესვენებისას ჩეხთა მწვრთნელს ჰარელ ბრუანერს წაგების გაგონებაც არ უნდოდა...

...გერმანიაც იგებდა

...ვერც გაიგო

EURONEWS

პირლო აურევს

ტრაპატონიმ გატუზო შემოირიგა



„სკუადრა აძურას“ მწვრთნელი, ჯოვანი ტრაპატონი შვედეთთან წინა მატჩისგან განსხვავებული შემადგენლობით აპირებს თამაშს, ოღონდ მისი რჩეული განლაგება, 4-2-3-1 უცვლელი დარჩება. რატომ დაჭირდა ტრაპს ამის ხაზგასმა? იმიტომ, რომ დანიასთან უღიმღამო ფრის შემდეგ იტალიელ ქომაგებში დაირხა ხმა, რომ ბოსი 4-4-2 სისტემაზე გადავა.

„ტაქტიკაში სიახლეს არ შემოგთავაზებთ — თქვა ტრაპატონიმ — ჩემპიონატი რა სქემითაც დავიწყეთ, იმ სქემით გავაგრძელებთ. აი, შემადგენლობაში კი შეიძლება ერთი-ორი კაცი მართლა შევცვალო, თუმცა რაიმეს ზუსტად სათქმელად ჯერ დარჩენილი დღის დაცდა მჭირდება“.

და, რას ამბობენ ამაზე ტრაპის ზურგს უკან? ამბობენ, რომ ყველაზე სავარაუდო კრისტიანო ძანეტის და მაურო კამორანეზის ნაცვლად ჯენარო გატუზოს და სტეფანო ფიორეს გამოსვლაა. ზოგი უფრო შორსაც მიდის და ამბობს, რომ ალესანდრო დელ პიეროს ადგილს ანტონიო კასანო დაიკავებს.

ახლა კი იმაზე, თუ რატომ არ ითამაშა დანიის წინააღმდეგ „მილანის“ ნახევარმცველმა ანდრეა პირლომ.

„მისი თვისებების მქონე ფეხბურთელი ვერაფერს შეცვლიდა, ხოლო კასანოს და ფიორეს შეშვებით მდგომარეობის გამოსწორებას ნამდვილად ვვარაუდობდი. მათ თავდასხმა უნდა გაეძლიერებინათ“.

იქნება პირლო შვედებთან შეხვედრაში?

„გუნდმა შეჯიბრება ერთი კონკრეტული სტილით და მიმართულებით დაიწყო... მოკლედ, მიუხედავად იმისა, რომ ანდრეა დიდი ფეხბურთელია, ვინაიდან მისი შემადგენლობაში ჩართვით ტაქტიკა იცვლება, ამას არ ვიზამ“ — განმარტა ტრაპმა, რომელსაც კიდევ ერთხელ დაჭირდა დანიასთან ნათამაშევის გახსენება:

„საშინლად ცხელოდა, ზოგი ჩემი ფეხბურთელი გადაღლილი ჩანდა და პლუს, როგორც გაირკვა, გოლის გატანაც გადამეტებულად გვინდოდა, რამაც აგვაფუსფუსა“.

იტალიელი ჟურნალისტების აზრით, მოსალოდნელზე გაცილებით ცუდად ითამაშეს აღიარებულმა ვარსკვლავებმაც, მაგალითად, ფრანჩესკო ტოტიმ.

ტრაპატონი: „მისგან მართლაც მეტს ველოდით, მაგრამ მეტოქემ ძალიან მჭიდრო მეურვეობა დაუწესა და მაინც, მან სახიფათოდ დაარტყა ჯარიმა და რამდენიმე პასიც გადააწოდა. ეჭვი არ მეპარება, ის ყოველ მომდევნო თამაშში მეტად და მეტად ძლიერი იქნება“.

დელ პიეროსა და მაურო კამორანეზის შესახებ კი მწვრთნელმა ასე ბრძანა:

„დღეს ნამდვილად ვერ გეტყვით, ითამაშებენ თუ არა ისინი პარასკევს. ჯერ ორივეს საფუძვლიანად უნდა ველაპარაკო, თუმცა არ დაგიმალავთ, რომ ალექსმა სულაც არ გამიცრუა იმედი. მოკლედ, ჩემი გუნდის ავან-ჩავანი ძალიან კარგად ვიცი. თქვენც იცოდეთ, ჩვენ ვალდებულნიც ვართ და შეგვიძლია კიდეც ჯგუფურ ეტაპზე დარჩენილი ორივე თამაშის მოგება“.

თუ კარგად დააკვირდებით, საერთოიტალიური განწყობა ტრაპატონის საწინააღმდეგოა. ყველა მწვრთნელის შეცდომას ეძებს, თუმცა გამოჩნდა ადამიანი, რომელმაც მას მხარი დაუჭირა და რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ეს ადამიანი ამ ორი კვირის წინ ტრაპის მთავარი მოკრიტიკე, „მილანისა“ და იტალიის ნაკრების ნახევარმცველი ჯენარო გატუზო აღმოჩნდა.

„რაც დანიასთან მოხდა, ტრაპატონის ბრალი არ არის, 70-80 პროცენტით დამნაშავე ფეხბურთელები ვართ. მოედანზე ჩვენ ვართ და არა მწვრთნელი. ჩვენ ვასრულებთ მწვრთნელის მითითებებს და ჩვენ უნდა გავამდიდროთ ეს მითითებები. ტაქტიკაზე საუბარი კი დანიასთან მატჩის შემდეგ მხოლოდ 5 წუთს გრძელდებოდა. ისე, მსოფლიოს ჩემპიონატზე ასეთი რამ არ მომხდარა, რაც ახლა გავაკეთეთ — დავსხედით და თავს გადახდენილზე ჩვენი შთაბეჭდილებები ვთქვით, მომხდარი გავაანალიზეთ. ყველამ ვაღიარეთ, რომ დანიამ გაგვაოცა, ჩვენ კი ბევრი, ოღონდ უაზროდ ვირბინეთ. ახლა ყველაფერი უნდა გამოსწორდეს, რისი გამოცდილებაც ჩვენ გვაქვს. ჯგუფში რომ ჩავრჩეთ, დასაცინები გავხდებით“ — თქვა ფეხბურთელმა.

პაპუნა კედია

ტოტის ორი კუზი და რქებიც ჰქონია

დანიის ფეხბურთის ფედერაციის მოთხოვნით, უეფამ ახალი გამოძიება დაიწყო, რომელსაც ვინძლო, ფრანჩესკო ტოტი შეეწიროს.

თუ გახსოვთ, იტალიელთა დანიასთან მატჩისას ტოტიმ გამეტებით ჩანიხლა კრისტიან პოულსენი, მერე კი, ფოტოც ამის დასტურია, მიუფურთხებია კიდეც. მსაჯი იმ ეპიზოდში ოდენ ჯარიმას დასჯერდა, მაგრამ დანიელებმა რკინის ქალამნები ჩაიცვეს და უეფას მიმართეს, ტოტი უნდა დაისაჯოსო.

უეფას წარმომადგენელმა დანიელთა საჩივრის თაობაზე თქვა, ახლა ვიდეოზე ვარჩევთ იმ ინციდენტს და იმაზე ვსჯელობთ, დისციპლინარების საქმეში ჩარევა ღირს თუ არაო.

თუ ღირს, ვაი, ტოტის ბრალი.

აზიაშიც ევროპაა

გამთენიისას ქალი ქმრის ღრიალმა ლოგინიდან წამოაგდო. შეშინებული მეორე ოთახში გავარდა. თავდაპირველად, შვება იგრძნო — ცუდი არაფერი მომხდარა და ბავშვებსაც მშვიდობიანად ეძინათ. შვება კი იგრძნო, მაგრამ ახლა სიბრაზემ წამოასხა — შეიძლება, ამ იდიოტობისთვის ქმარი დილის 6 საათზე დაჭრილი დათვივით ღრიალებდეს, თან იძახდეს, მიხარია, მეტი არაფერია?!

ეს ამბავი, სრული სიმართლეა და ერთი სიტყვა ტყუილი არ ურევია. ეს ერთ მალაიზიურ ოჯახში მოხდა, როცა ზინედინ ზიდანმა ინგლისელებს ჯარიმით გაუტანა. და რა ვუყოთ, რომ ამ დროს მალაიზიაში დილის 6 საათი იყო...

ისე, ამ ამბავს გაგრძელებაც აქვს. ანჩხლმა ცოლმა ზიდანისტ ქმარს ტელევიზორის პულტი წაართვა და ანტენაც გამოუძრო — შე ოხერო, დილას ბავშვები გყავს სკოლაში წასაყვანიო...

ეს მართალი ისტორია, ცხადია, გამონაკლისა. უფრო შემწყნარებელი ხალხიც არსებობს. მაგალითად, ტაილანდში ზოგიერთი ფირმის დირექტორს ფსიქოლოგებიც დაუქირავებია, ფეხბურთისგან ანერვიულებული თანამშრომლები სამსახურში რომ მოვლენ, დაამშვიდეთ, თორემ შრომის ნაყოფიერებმა ეცემაო.

ვიეტნამის, წარმოდგენით და, ჯერ კიდევ კომუნისტური ხელისუფლება კი იმაზე წუხს, დილას სამსახურში დროზე არავინ მოდისო.

ცხადია, არიან კმაყოფილი ადამიანებიც. მაინმარში, რომელიც ძველი ინგლისური კოლონიაა და ადრე ბირმა ერქვა, სატელიტური ანტენებით მოვაჭრეები არიან გაფულიანებულები. ერთმა თქვა, ადრე კვირაში 4-5 ცალს ძლივს ვყიდდი და რაც ევროპის ჩემპიონატი დაიწყო, დღეში 15 ცალზე ნაკლები არ მეყიდებაო.

ბანგოკელ მეკუშეებს კი გზა დაუგრძელდათ — მეზობელ კამბოჯაში ტოტალიზატორები ნებადართულია და საზღვრის სიახლოვეს საგანგებოდ ბანგოკელებისთვის გაუხსნიათ, მოდით, ითამაშეთო.

მოკლედ, ბევრსს არ ძინავს და აფორიაქებულა. თუნდაც ის რად ღირს, რომ ჩინურ კაფეებში მთელი ღამე იმდენი ყავა ისმევა, მსოფლიოს მთელი წელი რომ ეყოფოდა — აზიაში ხომ თამაშები ღამის 2 საათზე იწყება.

დაყრა და გაყრა

და განა მხოლოდ ინგლისელი გულშემატკივრები ჩხუბობენ — აგერ, გერმანია — ჰოლანდიის მატჩის მერე გერმანელმა ფანებმა ჰოლანდიელებს დააყარეს, რად არ წააგეთო. დაყარეს კი არა, როგორც პოლიცია ამბობს, სკამები და მაგიდები გადაუმტვრევიათ თავზე საცოდავებისთვის.

პოლიციამ ჩხუბისთავები სასწრაფოდ დაატუსაღა, სასამართლომ კი სასწრაფოდვე გამოუტანა განაჩენი — ხუთი გერმანელი დაუყოვნებლივ გააძევეს ქვეყნიდან და ხუთი წლით აუკრძალეს მადლიან პორტუგალიურ მიწაზე ფეხის შედგმა. ოთხი გერმანელი კი პერსონა ნონ გრატად თითო წლით გამოცხადდა.

ევროპის ჩემპიონატი გახურდა და საკლუბო ამბებიც ნაკლებად საინტერესო გახდა. სანამ პორტუგალიაში დიდი ფეხბურთია გაჩაღებული, რამდენიმე ბუნდესლიგურ სატრანსფერო ამბავს მოგახსენებთ

კლაუს ტოპმიოლერს ბავშვობა დაუბრუნეს

დანიელ ვან ბუიტენი



პოლ ფრეიერი

ბაიერნი

მიუნხენის „ბაიერნის“ მწვრთნელმა, ფელიქს მაგათმა კლუბის ბოსებს გუნდში პიოტრ ტროჩოვსკი დაატოვებინა და ახალგაზრდა ნახევარმცველს კონტრაქტის 2007 წლამდე გაგრძელება შესთავაზა.

ტროჩოვსკიმ ჰიცფელდისეულ „ბაიერნის“ ძირითად შემადგენლობაში ადგილი ვერ მოიპოვა. მისი გაშვება „შალკეში“ ან „ჰამბურგში“ სურდათ, მაგრამ მაგათმა ნიჭიერ ყმაწვილკაცს სიტყვა შეაწია.

ჩია ტანის ნახევარმცველს სათამაშო ყაიდით მეჰმეთ შოლს ადარებენ. მწვრთნელის აზრით, ტროჩოვსკის გამთამაშებლობაც შეუძლია და ფლანგებზეც სასარგებლოა. ფეხბურთელი ამჟამად შვებულებაშია. კონტრაქტს კი დაბრუნებისთანავე ოფიციალურად გააფორმებს.

მიუნხენელებს ჰოლანდიელი მარკ ვან ბომელის შეძენაც სურთ. 27 წლის ეინდჰოვენელს „შალკე“ და დორტმუნდის „ბორუსიაც“ ეპატიჟებიან.

ვან ბომელი 2005 წლამდე პსვ-ს საკუთრებაა და „ბაიერნი“ მის სანაცვლოდ 6 მილიონი ევროს გადახდაზე ყაბულსაა.

ჰოლანდიელი ნახევარმცველი ფელიქს მაგათს მიხაელ ბალაკის შემცვლელად მიაჩნია, რომელიც „ბარსელონაში“ გადასვლაზე თანახმაა თუ კლუბები მორიგდებიან.

ჰამბურგი

ბელგიელმა დანიელ ვან ბუიტენმა „ჰამბურგთან“ ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა. მცველის გადაბირება „გალათასარაის“ და „ბლექბერნს“ სურდათ, მაგრამ ფეხბურთელმა ბუნდესლიგა არჩია.

ვან ბუიტენი შარშან „მარსელში“ თამაშობდა და გასულ ზამთარს „მანჩესტერ სიტიში“ ნახევარი წლით გაანათხოვრეს. პრემიერლიგის კლუბმა მისი გამოსყიდვა და დატოვება ვერ შეძლო, ჰამბურგელებმა კი მარსელელებს მცველის სანაცვლოდ 4 მილიონი ევრო ჩაუთვალეს.

„გერმანელთა შემოთავაზებული პირობები სრულად მაკმაყოფილებს და ამიტომაც დავთანხმდი — თქვა ბელგიელმა — ვიმედოვნებ, რომ მომავალი სეზონიდან ერთად მივაღწევთ წარმატებას“.

კლაუს ტოპმიოლერს ვან ბუიტენისთვის მარცხენა მცველის ადგილი გაუმზადებია. „ის ჩემი ფავორიტია — განაცხადა მწვრთნელმა — ძალიან შრომისმოყვარეა და შეტევაშიც ხეირიანად ერთვება. პატარა ბავშვივით გამიხარდა, მისი გადმობირება რომ მოვახერხეთ“.

დანიელ ვან ბუიტენის გარდა, „ჰამბურგმა“ ორი ფორვარდი — ემილ მპენზა და ბენჟამინ ლაუტი უკვე შეიძინა. კლაუს ტოპმიოლერის გუნდი ინტერტოტოზე ითამაშებს.

ლევერკუზენი

„ფარმაცევტებს“ დიდი ხანია სურდათ ბოხუმელი პოლ ფრეიერის გადაბირება და კიდეც მოახერხეს.

24 წლის ნახევარმცველი ბუნდესნაკრებს პორტუგალიაში ტრავმის გამო ვერ წაჰყვა. გუნდიდან მისი გაშვება „ბოხუმის“ მწვრთნელ პეტერ ნოირურერს არ სურდა და საინტერესოა, რომ მან ლევერკუზენელები ზურგსუკან ვაჭრობაში შარშან შემოდგომაზე დაადანაშაულა. ნოირურერი მოგვიანებით თავად ფეხბურთელსაც დაემუქრა, ძირითად შემადგენლობაში აღარ გათამაშებ და ვნახოთ, შენს წაყვანას ვინ ისურვებსო.

მოკლედ, ფრეიერს „ბოხუმი“ აღარ უნდოდა და კლუბის ბოსებმაც მის დატოვებას გაყიდვა ამჯობინეს.

„ბაიერმა“ ნახევარმცველის სანაცვლოდ დაახლოებით 3 მილიონი ევრო გადაიხადა.

ჰანოვერი

„მანჩესტერ სიტის“ ყოფილი ნახევარმცველი მიხაელ ტარნატი, სავარაუდოდ, „ჰანოვერში“ გადავა. 34 წლის ფეხბურთელს ინგლისურმა კლუბმა კონტრაქტი აღარ გაუხანგრძლივა და სამშობლოში დაბრუნებას აპირებს. „80 პროცენტით დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი მომდევნო გუნდი „ჰანოვერი“ იქნება. მწვრთნელ ევალდ ლინენს უკვე ვესაუბრე და უკეთესი ვარიანტი თუ არ გამოჩნდა, ბუნდესლიგას მივაშურებ“ — თქვა ტარნატმა.

ვაჟა ხუციშვილი

ჟიული ბარსელონას ეპრანჭება

„პატარა უფლისწულმა“ ლუდოვიკ ჟიულიმ თქვა, „ბარსელონაში“ გადასვლა მსურსო.

„მონაკოს“ ნახევარმცველმა გუნდზე გული აიცრუა, რადგან კლუბის ბოსებთან პირობებზე ვერ შეთანხმდა. მას ორწლიან კონტრაქტს და ჯამაგირის 20-პროცენტიან შემცირებას სთავაზობდნენ, რაც ფეხბურთელმა იუარა.

„გადავწყვიტე, „მონაკო“ დავტოვო, რადგან უკეთეს პირობებს ველოდი და უარესი მივიღე. მათ ხელფასის შემცირებაზე დამიწყეს საუბარი და ამიტომ „ბარსელონაში“ გადასვლას ვეცდები. რამდენიმე დღეში კატალონიური კლუბის წარმომადგენლებს შევხვდები, რომლებთანაც პირადად ყველა საკითხი უკვე მოვაგვარე და ვიმედოვნებ, რომ კლუბებიც შეთანხმდებიან. სავარაუდოდ, სამწლიან კონტრაქტს გავაფორმებ“.

„ბარსელონამ“ ფრანგებს ჟიულის სანაცვლოდ 5 მილიონი ევრო შესთავაზა, მაგრამ, ცხადია, „მონაკო“ მეტის დაცინცვლას ცდილობს. შესაძლოა, „ბარსამ“ ხუთ მილიონ ევროს რიკარდო კვარესმაც გააყოლოს.

რადგან „მონაკოდან“ თითქმის წასულზე მოვყევით, ახლა მისულზეც ვთქვათ. სამთავროს გუნდმა ბრაზილიური „კრუზეიროდან“ მარჯვენა მცველი მეისონი გადაიბირა. 22 წლის ფეხბურთელმა კლუბთან ოთხწლიანი კონტრაქტი გააფორმა, თუმც უცნობია, მის სანაცვლოდ რამდენი გადაიხადა. მეისონი არგენტინელ უგო იბარას შეცვლის, რომელიც „მონაკოს“ „პორტუმ“ ერთი წლით დაუთმო და ახლა დაიბრუნა.

დიდიე დეშანს დადო პრსოს შემცვლელად „კიოლნის“ გერმანელი ფორვარდი ლუკას პოდოლსკი შეუგულებია. 19 წლის მეგოლის აგენტმა ნორბერტ პფლიპენმა განაცხადა, რომ იგი მონაკოში იყო და კლუბის პრეზიდენტ პიერ სვარასთან დიდხანს იმასლაათა.

ლუკას პოდოლსკის ბუნდესლიგიდან გავარდნილ „კიოლნთან“ კონტრაქტი 2007 წლამდე აქვს, ფეხბურთელი ამბობს: „დიდ პატივად მიმაჩნია, რომ „მონაკო“ ჩემით დაინტერესდა, მაგრამ ევროპის ჩემპიონატის დასრულებამდე ვერაფერს გადავწყვეტ“.

ვაჟა ხუციშვილი

დიდი კაცები დიდ გუნდებში

ევროპის ჩემპიონატმა თითოეული ჩვენგანის ყურადღება შეისრუტა, ამ დროს კი ყოველდღიური საფეხბურთო ცხოვრება თავისი სატრანსფერო, მაგრამ ძალიან საინტერესო გზით მიდის. კლუბები კონკრეტული, მიწიერი საქმეებით არიან დაკავებულნი და სამომავლო ამბებს აგვარებენ.

კერძოდ, აღსრულდა ის, რასაც დიდი ხანია ელოდნენ — რაფაელ ბენიტესი „ვალენსიადან“ „ლივერპულში“ გადაბარგდა და ახლა დიდი ინგლისური კლუბის სათავეში ჩამდგარი შეეცდება პრემერადივიზიონის ჩემპიონობას პრემიერლიგისაც შემატოს.

აღსრულდა კიდევ ერთი ამბავი, რომელიც ასევე დიდი ხანია მზადდებოდა: „ინტერი“ „ლაციოდან“ წასულმა ახალგაზრდა მწვრთნელმა რობერტო მანჩინიმ ჩაიბარა. საინტერესოა, როგორ შეეწყობა შეტევის მოყვარული მანჩო ტრადიციულად მძიმე და დაცვაზე მზრუნველ „ინტერს“.

გავუძვლებ

გახოკიძეს თავის იმედიც აქვს და ძვლისაც

გურამ დოლიძეგაბელის ფოტო

ჰოლანდიური „ტვენტედან“ წასული გოგა გახოკიძე ხვალ-ზეგ რუსული პრემიერლიგის „კრილია სოვეტოვთან“ ორნახევარწლიან კონტრაქტს გააფორმებს.

ქართველი ნახევარმცველი სამარელებს გუშინწინ გერმანულ შეკრებაზე შეუერთდა და რუსული სეზონის განახლებისთვის უკვე ახალ გუნდთან ერთად ემზადება.

„ჯერჯერობით კონტრაქტი არ გამიფორმებია, თუმც ეს პრობლემა არაა, დროის ამბავია. გერმანიაში კლუბის პრეზიდენტის ჩამოსვლას ელიან, ჩამოვა ტკაჩენკო და კონტრაქტსაც ხელს მოვაწერთ“.

„კრილიას“ პრეზიდენტის გერმანიაში ჩასვლამდე კი გახოკიძემ, და საერთოდ მთელმა გუნდმა, სამედიცინო შემოწმება უნდა გაიაროს, რაც 18-21 ივნისსაა დაგეგმილი.

„არაფერი მაწუხებს, ჯანზე ვარ, ძვლები მთელი მაქვს და არა მგონია, ექიმებთან ჯანმრთელობასთან დაკავშირებული რაიმე პრობლემა შემექმნას“.

გახოკიძეს გერმანიაში გუშინ იმ დროს დავუკავშირდით, როცა „კრილია“ საკვარჯიშოდ ემზადებოდა. გოგას თავს წამოსდგომოდა გუნდის მწვრთნელი გაჯი გაჯიევი და სავარჯიშოდ უხმობდა.

„გერმანიაში ჩამოსვლის დღიდან გაჯიევისგან სითბო და ყურადღება არ დამკლებია, ყოველდღე თავისთან მიბარებს და გუნდის გეგმებზე, პერსპექტივაზე დიდხანს მესაუბრება-ხოლმე, მაიმედებს, მამხნევებს. მოკლედ, ახალ კლუბში ძალიან კარგად მიმიღეს, ბიჭებთან საერთო ენის გამონახვა არ გამჭირვებია. არც უნდა გამჭირვებოდა, რუსულ ფეხბურთს ხომ საკმაოდ კარგად ვიცნობ. „კრილიაშიც“ რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი ვნახე, ადრე რომ ვმეგობრობდით“ — გვითხრა გოგა გახოკიძემ.

კოგა ინასარიძე

STARკოვსი მაგარია!

ლატვიამ ფეხბურთს ფეხიც აუწყო და ჯეუაც

ევროპის ჩემპიონატზე სასწაულებრივ მოხვედრილი ლატვია საფეხბურთო სამყაროს კვლავაც აკვირვებს და ამის მაგალითი გუშინწინ ჩეხეთთან მატჩი იყო. პაველ ნედვედმა და მისმა ძმაბიჭებმა ძლივსლა გატეხეს უცნობი ბალტიისპირელები.

ლატვიელთაგან ასეთ თამაშს, ცხადია, არავინ ელოდა, თუმც რეალობაა ასეთი — დღეს ფეხბურთს თამაშობს ის, ვისაც უნდა და, რაც მთავარია, იცის, როგორ ითამაშოს.

რა ხდება დღეს ლატვიაში, როგორია იქაურთა განწყობა და რას ელიან ევროპის ჩემპიონატისგან... ამ კითხვებზე საპასუხოდ „სკონტოს“ ქართველ ნახევარმცველ ლევან კორღალიძეს დავუკავშირდით, რომელიც ახლა ტრავმირებულია და, თავდაპირველად, ჯანმრთელობის ამბები ვკითხეთ...

ბადრი კეკელიძის ფოტო

ალექსანდრ სტარკოვსს ლევან კორღალიძე კი არა, მთელი ლატვია აქებს

— ფეხი ჯერაც თაბაშირში მაქვს, ალბათ ერთ კვირაში მომხსნიან.

— **უკეთესობას თუ გრძნობ?**

— ფეხს უკვე ვადგამ, მაგრამ სიარულზე ლაპარაკი ჯერ ზედმეტია. თაბაშირს რომ მოვიხსნი, მერე ტრენაჟორებზე ვივარჯიშებ, სხვა პროცედურებსაც დამინიშნავენ და...

— **ჩანს, ყველაფერი გაურთულებლად მიდის...**

— ეგრეა. ექიმებმა მითხრეს, ყველაფერი კარგადაა.

— **ახლა ლატვიის ნაკრებზეც გვითხარი. რა ხდება რიგაში?**

— დიდ ყურადღებას იჩენენ ევროპის ჩემპიონატისადმი, ყველაფერს აშუქებენ. თითქმის მთელი დღე ფეხბურთი აკერიათ პირზე. ასეთ აჟიოტაჟს ვერც წარმოვიდგენდი.

— **ელოდნენ პირველ ტურში ჩეხეთთან ასეთ დამაჯერებელ თამაშს?**

— მწვრთნელ-ფეხბურთელების გარდა არავინ ელოდა. ლატვიელთა თავკაცი ალექსანდრს სტარკოვსი კი ცალკე სალაპარაკო თემაა. ეს კაცი პორტუგალიაში წასვლამდე ამბობდა, რომ თავს არ შეირცხვენდა. მაგარი კაცია, არაფრის ეშინია და ბიჭებსაც თავის განწყობას იოლად გადასცემს.

— **როგორც ჩანს, ფეხბურთი ლატვიაში სულ უფრო პოპულარული ხდება...**

— ეგრეა. ამდენი ფეხბურთი აქაურ ტელევიზიებს არასოდეს უჩვენებიათ. სტარკოვსმა და მისმა გუნდმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა.

— **აბა, გამხდარა ფეხბურთი სპორტის პირველი სახეობა ლატვიაშიც...**

— არაა გამორიცხული, ასეც მოხდეს. ხომ გითხარი, თავადაც არ მეგონა, ამხელა ინტერესს თუ გამოიჩენდნენ. ლატვიამ პლეი ოფში თურქეთს რომ მოუგო და ევროპის ჩემპიონატზე გავიდა, აეროპორტში ფეხბურთელებს მხოლოდ ახლობელ-ნათესავები დახვდნენ. ახლა კი ლატვიელებმა ასე თუ გააგრძელეს და გერმანია-ჰოლანდიასთანაც ღირსეულად ითამაშეს, ყველაფერი სხვანაირად იქნება.

კახა შალამბერიძე

აშვეთიას ფრანგოლეები



მიხეილ აშვეთია საფრანგეთში გატანას მიეჩვია

ფრანგულ შეკრებაზე მყოფმა მოსკოვის „ლოკომოტივმა“ ამხანაგური მატჩი მეხუთედივიზიონელ ტულუზის „ბლანიაკთან“ გამართა. რკინიგზელებმა 8:0 მიანგრიეს უსახელო მეტოქე და ამაში წონიანი სიტყვა ჩვენებურებმაც თქვეს — მიხეილ აშვეთიამ და რომან ახალკაცმა სამი გოლი გაიტანეს.

საინტერესო ისაა, რომ აშვეთიამ დაახლოებით ხუთთვიანი პაუზის შემდეგ პირველად გაიხარა. საქართველოს ნაკრების თავდამსხმელმა ბოლოს იანვარში, მაშინაც ფრანგულ შეკრებაზე იყოჩაღა და 8 მატჩში 5 გოლი გაიტანა, თუმც მას შემდეგ ჩვენებურს უჩვეულოდ გრძელი მშრალი სერია გამოუვიდა. ახლა კი აშვეთიამ ნავსი გატეხა და, მართალია, უსუსტეს მეტოქესთან, მაგრამ მაინც დუბლი გააკეთა.

იღბლიანი თამაში იყო რომან ახალკაცისთვისაც. „ლოკომოტივში“ სულ რაღაც თვეების წინ გადასულმა ქართველმა თავდამსხმელმა ძირითადი გუნდის შემადგენლობაში პირველი გოლი გაიტანა. ახალკაცი დუბლების ბომბარდირი კია, თუმც იური სიომინის თვალწინ პირველად ითამაშა და საკმაოდ აქტიურადაც.

ჩვენებურების გარდა ივანოვმა (3), ვოზნესენსკიმ და კონცედალოვმა იყოჩაღეს, რკინიგზელთა ახალგაზრდა მეკარე ბუდაკოვმა კი მასპინძლებს პენალტი არ გაატანინა.

დღეს „ლოკომოტივი“ ამხანაგურად ერთ-ერთ ანდორულ კლუბს გაეჯიბრება. ხვალ მოსკოვში დაბრუნდება და რუსეთის ჩემპიონატისთვის საკუთარ ბაზაზე მოემზადება.

კახა შალამბერიძე

აღმოსავლეთი ძველ მისამართზე

მაშინ, როცა უმაღლეს ლიგაში თამაშზე ერთი ამბავია ამტყდარი და იქ ყოფნის მოსურნეთ არაერთი რთული მოთხოვნის დაკმაყოფილებაც მართებთ, რომელთა შორის 300-ათასიანი ფინანსური გარანტიაცაა, რეგიონალლიგაში განსხვავებული ვითარებაა. აქ მოთხოვნები ბევრად ნაკლებია.

მოგეხსენებათ, რეგიონალლიგა ზონებადაა დაყოფილი, აღმოსავლეთის ზონის გათამაშებას კი აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაცია უზრუნველყოფს.

აფხაზეთის ფედერაციაში კი ასე გადაწყვიტეს: აღმოსავლეთ ზონაში თამაშის მოსურნე გუნდებმა ფედერაციის ოფისში 29 ივნისს 13 საათზე წარმომადგენლები უნდა მიაელინონ და ორგანიზაციული საკითხები შეათანხმონ. ამის მერე გვეცოდინება, რამდენი და რომელი გუნდები ითამაშებენ აღმოსავლეთ ზონაში 2004-2005 წლების სეზონში. თავად აღმოსავლეთ ზონა კი კახეთის, ქვემო ქართლის რეგიონებს და თბილისს მოიცავს.

კლუბებს კი შევახსენებთ, რომ აფხაზეთის ფეხბურთის ფედერაციის ოფისი იამანიძის 5-შია, იქ ადრე საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მუშაობდა. 29 ივნისამდე კი კლუბთა წარმომადგენლებს ფედერალებთან ამ ნომრებზე შეუძლიათ დაკავშირება: 35 60 13; 94 29 39

ხიზანეიშვილს დინამო დაეღალა და შეუთამაშდა

ერთი კვირაა, მოსკოვის „დინამო“ გერმანულ შეკრებაზეა. 13 ივნისს დინამოელები რეგიონალლიგის „გესლერსპორტკლუბს“ ეთამაშნენ და 8:0-იც დაამარცხეს. მოსკოველთა ქართველმა მცველმა ოთარ ხიზანეიშვილმა მოედანზე 90 წუთი დაჰყო და სამ საგოლე კომბინაციაში მიიღო მონაწილეობა.

15 ივნისს „დინამო“ „კრილია სოვეტოვს“ ეთამაშა და 0:2 დამარცხდა. ხიზანეიშვილმა ამჯერზე მხოლოდ პირველი ტაიმი ითამაშა.

— ბუნებრივია, გერმანიაში იდეალურ პირობებში ვემზადებით, ეგაა, საშინლად მომქანცველი ვარჯიშებია. „კრილიასთან“ წაგებასაც ძირითადად გადაღლილობას ვაბრალებ. ახლა „დინამო“ გაცილებით უკეთ შეთამაშებული გუნდია, ვიდრე ჩემპიონატის დასაწყისში — გვითხრა ხიზანეიშვილმა, გუშინ გერმანიაში რომ შევეხმიანეთ.

დავით ერაძე

დაძაბულობის, ინტრიგების, ინციდენტებისა და ჩაწყობების გარდა, წინა ეროვნულმა ჩემპიონატმა სხვაც მოიტანა — გამოჩნდა რამდენიმე ნიჭიერი ახალგაზრდა ფეხბურთელი და ერთ-ერთი მათგანი „თბილისის“ საყრდენი ნახევარმცველი გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძეც გახლავთ — „თბილისში“ ორი ჭელიძეა და ორივე გიორგი, ამიტომაც მათ მამის სახელებით ვარჩევთ.

მოკლედ, ნუგზარის ძე ჭელიძე რედაქციაში ვისტუმრეთ და ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანს რამდენიმე შეკითხვა დავუსვით



გიორგი ჭელიძე ნუგზარის ძე

ნუგზარის ძე: მალე უფრო კარგად გამიცნობთ

სოფია-თბილისი-ვლადიკავკაზი

ჭელიძისთვის ასეთი გეოგრაფია ძალიან ცოტაა

— გასულ სეზონში ყველამ გაგიცნო, ხოლო გოჩა ტყებუჩავამ ახალგაზრდულ ნაკრებში მიგიწვია და კაპიტნობაც გიბოძა — ალბათ სეზონზე ხინჯი არ გრჩება.

— საქმე ისაა, რომ გასულ სეზონში მწვრთნელთა ცვლამ „თბილისზე“, რა თქმა უნდა, უარყოფითად იმოქმედა. გიორგი დევდარიანის ხელში კი თანამედროვე ფეხბურთის თამაში დავიწყეთ, თუმც დევდარიანის თავკაცობით მხოლოდ ერთი საშუასეზონო შეკრება გავიარეთ. ახლანდელი მოსამზადებელი ეტაპის შემდეგ კი ჩვენ მხოლოდ ერთი მიზანი გვექნება — ჩემპიონები უნდა გავხდეთ. წინა სეზონი ნორმალურად ჩავატარე, მაგრამ მომდევნოში უფრო კარგად გამიცნობენ.

— 27 მაისს დებიუტი გქონდა ახალგაზრდულ ნაკრებში ისრაელთან და თან გუნდის კაპიტნადაც წარმოგვიდექი...

— კაპიტნობას მართლაც არ ველოდი, ძალიან გაოცებული დავრჩი, კაპიტანი არასდროს ვყოფილვარ და უცებ ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანის სამკლავური გამიკეთეს, თან კარგად ვითამაშე ის მატჩი და გოლიც გავიტანე.

— შესარჩევ ციკლში კი პირველი მატჩი თურქეთთანაა...

— თურქეთის ახალგაზრდული ნაკრების ერთი თამაშის ვიდეოჩანაწერი ვნახეთ და უნდა ვთქვა, რომ თურქები უკვე კაცებივით არიან, ჯანიანი ფეხბურთელები ჰყავთ. თუმც ფეხბურთში მთავარი მონდომება და შეუპოვრობაა და თურქებთანაც მოსაგებად გავალთ. ძალიან ძნელ ჯგუფში მოვხვდით, მაგრამ ვფიქრობ, ევროპულ ახალგაზრდულ ნაკრებებს ბევრით არაფრით ჩამოვრჩებით.

— როგორი იყო შენი საფეხბურთო გზა „თბილისამდე“?

— 14 წლის რომ ვიყავი, ბულგარეთში წავედი, სადაც ბებიაჩემი და ბიძაჩემი ცხოვრობენ. ორი წელი სოფიის ცსკა-ს ასაკობრივ გუნდში ვთამაშობდი. ამ ორი წლის შემდეგ თბილისში ჩამოვედი და მაშინ ის გუნდი კეთდებოდა, რაც მერე „თბილისად“ ჩამოყალიბდა. იმ დროს გუნდს „დერბი“ ერქვა და იქ ჩემი ძმა თამაშობდა. სოფიაში უნდა დავბრუნებულიყავი, მაგრამ ბულგარეთისკენ გული აღარ მიმიწევდა და მივედი „დერბიში“ — ეს ოთხი წლის წინ მოხდა.

— ბულგარეთში ყოფნით, როგორც დამწყები ფეხბურთელი, კმაყოფილი არ იყავი?

— ბულგარეთში კარგი იყო, რადგან საკუთარ თავთან მარტო ვიყავი. თუმც საქართველოში რომ დავბრუნდი, წინსვლა აქაც დავიწყე.

— ზოგიერთი სპეციალისტი მიიჩნევს, რომ შენ ერთი ნაკლი გაქვს — თამაშის დროს ტემპს ხანდახან ვერ არეგულირებ.

— ხანდახან მართლაც ასე ხდება, ცოტათი ვეთიშები ხოლმე თამაშის მსვლელობას, მაგრამ ასაკთან ერთად ყველაფერი მოვა — დიდი ფეხბურთის თამაში მინდა.

— 18 ივნისს „დინამოს“ ეთამაშებით ამხანაგურად, მერე ვისთან აპირებთ თამაშს?

— 24-ში „ვიტ ჯორჯიასთან“, ხოლო 29 ივნისს ვლადიკავკაზში „ალანიას“ გავეჯიბრებით — „ალანიამ“ მიგვიწვია. ერთი სიტყვით, ძალიან სერიოზულად ვემზადებით. 25 ივნისს უეფას თასის წილისყრაა და ჩვენი მეტოქის ვინაობაც გაირკვევა. „თბილისში“ ახლა ადრინდელზე უფრო მძაფრი კონკურენცია იქნება, რამდენიმე ახალი ფეხბურთელი ხომ უკვე დავიმატეთ.

— ევროპის ჩემპიონატზე ვის გულშემატკივრობ?

— იტალიის ნაკრები მიყვარს, ფეხბურთელებიდან კი ზიდანი.

— ჩვენ მხოლოდ ფეხბურთზე ვილაპარაკეთ...

— ფეხბურთის გარდა ყველაფერი მიყვარს, რაც კარგი და ახალგაზრდულია, განსაკუთრებით ბილიარდი, თუმც ნიძლავზე არ ვთამაშობ.

დავით თავართქილაძე

ბადრი ჯანელიძის ფოტო

თანატოლი ებრაელების ნაკრებს ნუგზარის ძემ ასე გაუტანა

მოდებაძე თბილისში მოდის

„თბილისს“ თუ რამ აკლდა გასული ჩემპიონატის მეორე ეტაპზე, გამოცდილი და შედეგიანი ფორვარდი. დამდეგი სეზონისთვის „თბილისმა“ ორი თავდამსხმელი უკვე დაიმატა — ირაკლი სამხარაძე „სპარტაკიდან“ და გიორგი მიქაძე „ლოკომოტივიდან“. თუმც კლუბის საფორვარდო მადა უფრო დიდი აღმოჩნდა — მალე გუნდს, ალბათ ირაკლი მოდებაძეც შეუერთდება.

მოდებაძე უკრაინის უმაღლესლიგელმა, ზაპოროჟიეს „მეტალურგმა“ ტრანსფერზე დააყენა. ირაკლის წინა შესარჩევ ციკლშიც უთამაშია ახალგაზრდულ ნაკრებში და ახლაც ითვლება გოჩა ტყებუჩავას გუნდის წევრად.

ფედერაციამ სიონი ალმასკომს ჩაბარდა

დღეს ფედერაციის მეშვიდე საანგარიშო ყრილობაა. დღის წესრიგში 7 საკითხია, რომელთაც, ითქვა, მერვე, „სიონის“ სარჩელის განხილვა უნდა დამატებოდა.

ბოლნისელებმა აპელაციით მიმართეს ფედერაციას, დისკვალიფიკაციის მოხსნას და უეფას თასზე მონაწილეობის უფლებას ითხოვდნენ, თუმც გუშინ გაირკვა, რომ დღეს ყრილობაზე „სიონის“ სარჩელს არ განიხილავენ, ამის შესახებ თავად ფედერაციიდან აცნობეს ქვემოქართლელებს, თუმც დაპირდნენ, აღმასკომის უახლოეს სხდომაზე თქვენ საქმეს კიდევ ერთხელ გავარჩევთო.

„სიონის“ სარჩელი დღევანდელ ყრილობაზე რომც განხილულიყო, უეფას თასზე არავინ აღადგენდა ბოლნისურ კლუბს. ფედერაციიდან უეფაში უკვე გაგზავნილია ევროტურნირებში მონაწილე ქართული კლუბების განაცხადები და იქ „სიონის“ ნაცვლად „თბილისია“ დასახელებული. ასე რომ, თუკი აღმასკომის სხდომაზე მაინც გაირჩა ბოლნისელთა სარჩელი, მხოლოდ ათმატჩიანი დისკვალიფიკაციის შემცირებაზე იქნება საუბარი.

ამასობაში ქვემოქართლელები იმედის ბოლო ძაფს ებღაუჭებიან და „მადნეულის“ დირექტორის ვასილ ცოტაძის საზღვარგარეთიდან დაბრუნებას ელიან. თუმც საეჭვოა, „მადნეულმა“ „სიონის“ დაფინანსება შეძლოს, ცოტაძემ თქვა უკვე, სამეთვალყურეო საბჭო არ მაძლევს ამის უფლებასო. ასე და ძალზე სამწუხაროდ, ცოტა ხნის წინ ჩემპიონატის მოწინავე „სიონს“ საარსებოდაც კი მინიმალური შანსი აქვს.

პაატა ძვანტალიანი

საბას ზღვა შნდა, კოლხეთს სოსელია

მიხეილ სოსელია

მართალია, თენგიზ სიჭინავას გადაბირება ვერ მოვახერხეთ, მაგრამ ერთი-ორი ისეთი ფეხბურთელი გვყავს შეგულებული, უთუოდ რომ გააძლიერებენ ჩვენს გუნდსო, გვითხრა რამდენიმე დღის წინ „კოლხეთის“ თავკაცმა დავით მახარაძემ.

გუშინ ამ „ერთი-ორი“ ფეხბურთელის ვინაობა გავარკვიეთ, თუმც, თავად „კოლხებს“ საბოლოოდ არ გაურკვევიათ მათთან ურთიერთობა.

საბა სულთანიშვილი და მიხეილ სოსელია — ესენი არიან კოლხთა სასურველი ფეხბურთელები და ალბათ დღე-დღეზე მათთან კონტრაქტსაც გააფორმებენ ზღვისპირელები. გორის დილელ საბა სულთანიშვილს თავად აქვს „კოლხეთში“ თამაშის სურვილი და წინააღმდეგი არც დავით მახარაძეა, სოსელიას თაობაზე კი ფოთელებს „ლოკომოტივთან“ აქვთ მოსალაპარაკებელი, მახარაძე იმედოვნებს, რომ ამ საქმეს ბოლომდე მიიყვანს და სოსელიას „ფაზისზე“ ჩაიყვანს.

პაატა ძვანტალიანი

რუსთავს ფული კი არა, სიტყვაც არ აღირსებს

უმაღლეს ლიგაში აღზევებული „რუსთავის“ საქმეები უკან-უკან მიდის. უფულობის გამო კლუბის უმაღლესლიგელობა სათუო გახდა. გუნდის მთავარი მწვრთნელი ვარლამ კილასონია ცოტა ხნის წინ ჯერ კიდევ იმედიანად იყო, ეგებ ვინმე შემწე კაცი ან ორგანიზაცია გამოჩნდესო. იმედის დროც გავიდა, პროფლიგის კომისია, რომელიც კლუბების მდგომარეობას სწავლობდა, მალე სარეკომენდაციო დასკვნა-წერილს გაამზადებს და...

— ახალი არაფერია. ხელმძღვანელობიდან საერთოდ არავინ გამოჩენილა — გვითხრა გუშინ აშკარად იმედწახდენილმა მწვრთნელმა — უბრალოდ, ბიჭები შეიკრიბნენ და ვარჯიშობენ, ფორმა რომ არ დაკარგონ. თუ სხვა გუნდში წასვლა მოუწევთ, მომზადებულები მაინც წავლენ. არადა, წასვლაც არავის უნდა. ბიჭებს თამაში სურთ, მაგრამ სწორედ ამ დროს მიგვატოვა ყველამ.

— პროფლიგის კონფერენციამდე ვადამდე თითქმის არაფერი დარჩა, ფაქტობრივად, განწირულები ყოფილხართ...

— ასე გამოდის. ჩვენ, როგორც ვატყობ, ხელჩასაჭიდიც არაფერი დაგვრჩა. ჩემთან არც „რუსთავის“ ადგილის შეძენის მსურველები მოსულან. ეგებ მათ პირდაპირ ხელმძღვანელობასაც მიაკითხეს.

— და თქვენ საერთოდ არაფერი იცით ამის თაობაზე?

— არაფერი და, ასე თუა, ჩვენთვის ხომ მაინც უნდა ეთქვათ რამე...

დავით ერაძე

სარბიელი: კრიზისი

წარმოგიდგენთ

ევროპის ჩემპიონატი 2004. ჯგუფური ეტაპი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		17 ივნისი						
21.00	011	ინგლისი-შვეიცარია	1,4	3,8	7,5	1,02	1,17	2,52
23.45	012	ხორვატია-საფრანგეთი	7,0	3,5	1,5	2,33	1,23	1,04
		18 ივნისი						
21.00	013	ბულგარეთი-დანია	4,0	3,3	1,8	1,8	1,24	1,16
23.45	014	იტალია-შვედეთი	2,0	3,0	3,8	1,2	1,31	1,67
		19 ივნისი						
21.00	015	ლატვია-გერმანია	8,0	4,2	1,35	2,75	1,15	1,02
23.45	016	ჰოლანდია-ჩეხეთი	2,35	3,1	2,9	1,33	1,29	1,49

© 2004 UEFA

I ტაიმის შედეგი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		17 ივნისი						
5011		ინგლისი-შვეიცარია	1,7	2,5	6,5	1,01	1,34	1,8
5012		ხორვატია-საფრანგეთი	6,5	2,4	1,75	1,75	1,37	1,01
		18 ივნისი						
5013		ბულგარეთი-დანია	4,8	2,15	2,2	1,48	1,5	1.08
5014		იტალია-შვედეთი	2,4	2,0	4,2	1,09	1,52	1,35
		19 ივნისი						
5015		ლატვია-გერმანია	6,5	2,6	1,65	1,85	1,31	1
5016		ჰოლანდია-ჩეხეთი	2,8	2,0	3,5	1,16	1,55	1.27

სხვა სახის ფსონებს გაეცნოთ ადგილზე

ნორვეგია. ტიპელიგა. XII ტური

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		20 ივნისი						
21.00	136	ლილესტრიომი-ლინი	2,05	3,1	3,4	1,23	1,27	1,62
21.00	137	მოლდე-სტაბეკი	1,85	3,3	3,6	1,18	1,22	1,72
21.00	138	ვოლერენგა-ჰამარი	1,8	3,2	4,0	1,15	1,24	1,77
21.00	139	ოდ გრენლანდი-სოგნდალი	1,6	3,4	5,3	1,08	1,22	2,07
21.00	140	ტრომსიო-ფრედრიკსტადი	1,3	4,6	8,0	1,01	1,11	2,92
		21 ივნისი						
22.00	141	ვიკინგი-ბრანი	2,35	3,2	2,7	1,35	1,25	1,46

ფინეთი. ვეიკაუსლიგა. X ტური

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		20 ივნისი						
20.30	164	ალიანსი-ჰაამეენლინა	1,35	4,0	7,5	1	1,14	2,6
20.30	165	ჰაკა-ტურკუ	1,45	3,8	6,0	1,04	1,16	2,32
20.30	166	ლაჰტი-ჰიკ	3,2	3,1	2,1	1,57	1,26	1,25
20.30	167	როვანიემი-ვაზი	2,15	3,2	3,0	1,28	1,25	1,54
20.30	168	კტპ-ტპ 47	1,8	3,3	3,6	1,16	1,19	1,72

ირლანდია. პრემიერლიგა. XVII ტური

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		18 ივნისი						
23.00	180	შემროკი-სტ.პატრიკსი	2,1	3,2	3,1	1,26	1,25	1,57
23.45	181	ბოჰემიანი-დუბლინი	1,45	3,4	7,5	1,01	1,21	2.33
23.45	182	შელბურნი-უოტერფორდი	1,6	3,4	5,0	1,08	1,21	2,02
		19 ივნისი						
23.30	183	დერი-ლონგფორდი	2,4	3,1	2,6	1,35	1,24	1,41

. ჩილე. აპერტურა

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		17 ივნისი						
24.00	250	უნ.ჩილე-უონდერერსი	2,3	3,2	2,7	1,33	1,24	1,46

ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. II ეტაპი

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		17 ივნისი						
23.00	287	რიფერ პლეიტი-ბოკა ხუნიორსი	2,15	3,1	3,1	1,26	1,26	1,55

რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე შორი ზაბეგულად ჩაითვლება)

	17 ივნისი		
5411	ინგლისი-შვეიცარია	1,4	3,0
5412	ხორვატია-საფრანგეთი	3,0	1,4
	18 ივნისი		
5413	ბულგარეთი-დანია	2,4	1,6
5414	იტალია-შვედეთი	1,7	2,2
	19 ივნისი		
5415	ლატვია-გერმანია	3,7	1,25
5416	ჰოლანდია-ჩეხეთი	1,8	2,0

1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო.		1/1	1/X	1/2	X/1	X/X	X/2	2/1	2/X	2/2
			17 ივნისი							
5111	ინგლისი-შვეიცარია	1,9	12,0	25,0	3,5	5,0	12,0	20,0	12,0	12,0
5112	ხორვატია-საფრანგეთი	11,0	11,0	20,0	12,0	4,8	3,5	20,0	10,0	2,0
			18 ივნისი							
5113	ბულგარეთი-დანია	6,5	10,0	20,0	7,5	4,6	3,6	20,0	10,0	2,6
5114	იტალია-შვედეთი	3,0	10,0	20,0	4,0	4,2	7,0	20,0	10,0	6,0
			19 ივნისი							
5115	ლატვია-გერმანია	12,0	12,0	20,0	14,0	5,3	3,5	30,0	15,0	1,7
5116	ჰოლანდია-ჩეხეთი	3,5	10,0	20,0	4,6	4,4	5,3	20,0	10,0	4,2

რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

		I-ში	თანაბრად	II-ში
	17 ივნისი			
5511	ინგლისი-შვეიცარია	3,0	2,8	2,0
5512	ხორვატია-საფრანგეთი	3,0	2,8	2,0
	18 ივნისი			
5513	ბულგარეთი-დანია	3,0	2,8	2,0
5514	იტალია-შვედეთი	3,0	2,8	2,0
	19 ივნისი			
5515	ლატვია-გერმანია	3,0	2,8	2,0
5516	ჰოლანდია-ჩეხეთი	3,0	2,8	2,0

გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

		კი	არა
	17 ივნისი		
5311	ინგლისი-შვეიცარია	1,7	1,9
5312	ხორვატია-საფრანგეთი	1,7	1,9
	18 ივნისი		
5313	ბულგარეთი-დანია	1,65	1,95
5314	იტალია-შვედეთი	1,65	1,95
	19 ივნისი		
5315	ლატვია-გერმანია	1,8	1,8
5316	ჰოლანდია-ჩეხეთი	1,65	1,95

რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

	17 ივნისი		
5211	ინგლისი-შვეიცარია	1,75	1,85
5212	ხორვატია-საფრანგეთი	1,75	1,85
	18 ივნისი		
5213	ბულგარეთი-დანია	1,7	1,9
5214	იტალია-შვედეთი	1,6	2,0
	19 ივნისი		
5215	ლატვია-გერმანია	1,75	1,85
5216	ჰოლანდია-ჩეხეთი	1,65	1,95

შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაგაზუსტეთ

ფორმულა 1. აშშ. 19 ივნისი (17.00)

8001 გამარჯვებული	8201 ექვსეული	8301 უსწრ. ფრე
მ.შუმახერი ---------- 1,35	1,05 ---------- 1,02	1,4
ბარიჟელო ---------- 7,0	1,7 ---------- 1,1	5,0
მონტოია ---------- 10,0	2,0 ---------- 1,15	6,0
რ.შუმახერი ---------- 12,0	2,5 ---------- 1,17	10,0
კულტჰარდი ---------- 40,0	9,0 ---------- 1,5	25,0
რაიკონენი ---------- 25,0	6,0 ---------- 1,35	15,0
ტრული ---------- 12,0	2,8 ---------- 1,17	8,0
ალონსო ---------- 11,0	2,4 ---------- 1,15	7,0
ბატონი ---------- 6,0	1,6 ---------- 1,1	5,0
სატო ---------- 15,0	3,0 ---------- 1,2	12,0
ფიზიჟელა ---------- 100,0	25,0 ---------- 3,5	40,0
მასა ---------- 150,0	30,0 ---------- 4,0	50,0
უებერი ---------- 100,0	25,0 ---------- 3,5	40,0
კლიენი ---------- 150,0	30,0 ---------- 4,0	50,0
და მატა ---------- 150,0	30,0 ---------- 4,0	50,0
პანისი ---------- 150,0	30,0 ---------- 4,0	50,0
ჰაიდფელდი ---------- 250,0	50,0 ---------- 7,0	75,0
პანტანო ---------- 300,0	50,0 ---------- 7,0	75,0
ბრუნი ---------- 500,0	100,0 ---------- 12,0	100,0
ბაუმგარტნერი ------- 500,0	100,0 ---------- 12,0	100,0

CROCO BOOKMAKERS კროკო

ისარგებლეთ კროკოს ახალი [illegible] მომსახურებით

CROCO BOOKMAKERS ტელკრედიტი TELCREDITI

10 42 00 24 +%

CROCO BOOKMAKERS კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქები სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი №70	
	გლდანის მასივი, ხიზანიშვილის ქუჩა №4	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III კვარტალი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, 1ა კორპუსი	
	ვარკეთილი, კალოუბნის „აბ“ კორპუსი №48	
	მელიქიშვილის ქუჩა №15	
	ისანი -კახეთის გზატკეცილი	ისნის ბაზრობის მიმდებარე ტერიტორია
	წერეთლის გამზირი №141	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა№ 27	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	სტალინის ქუჩა №14	
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
ხელვაჩაური	აღმაშენებლის ქუჩა № 50	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39	
ოზურგეთი	გურიის ქუჩა №23	
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28	
ფოთი	რკალი, რუსთაველის №18	
საგარეჯო	დავით აღმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ზესტაფონი	გრიგოლ რობაქიძის ქუჩა №6	
ახალციხე	ნათენაძის ქუჩა №7	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	

ლეიკერსი 1:4 დეტროიტი

15 ივნისი. დეტროიტი. „ობურნ ჰილზი“. 22 076 მაყურებელი

დეტროიტი 100:87 ლეიკერსი

25:24 30:21 27:14 18:28

დეტროიტი: ბილაფსი (14), ჰამილტონი (21), პრინსი (17 ქულა, 10 მოხსნა), რ. ვოლესი (11), ბ. ვოლესი (18 ქულა, 22 მოხსნა); ოქური (7), უილიამსონი (6), კემბელი (4), ჰანტერი (2), ჯეიმსი, მილიჩიჩი, ჰემი

ლეიკერსი: პეიტონი (2), ბრაიანტი (24), ჯორჯი (4), მედვედენკო (10), ონილი (20); ფიშერი (10), ფოქსი (6), რაში (5), კუკი (4), უოლტონი (2), რასელი

ხო! ლეიკერსი დაემხო! ვაშა მუშა დეტროიტს

„დეტროიტ პრისტონზი“ ჩემპიონია!

სწორედაც პარალელების გავლების დროა: იქ აღმოსავლელი გუნდი ბოლო ექვს წელიწადში პირველად აღზევდა; „ლეიკერსის“ მწვრთნელი ფილ ჯეკსონი მე-10 ჩემპიონობას ვერ შესწვდა და 60-იანი წლების „ბოსტონის“ მწვრთნელ რედ აუერბახს ვერ გადაუსწრო, ამ დროს კი „დეტროიტის“ 63 წლის თავკაცი ლარი ბრაუნი მრავალწლიან მოღვაწეობაში პირველად გახდა ჩემპიონი...

მაგრამ აქ მთავარი სხვაა: ქალაქი დეტროიტი, მოგეხსენებათ, ავტომობილებს უშვებს და, ასე ვთქვათ, მუშური ქალაქია. მაინცდამაინც აუცილებელი არ იყო, გუნდიც მუშური ჰყოლოდა, მაგრამ როგორღაც ასე დაემთხვა. თამაშის და გამარჯვების მოსურნე უბრალო „დეტროიტმა“ მოუგო გაზულუქებულ და ცხვირაწეულ „ლეიკერსს“, ვისაც ოთხი ისეთი მოთამაშე ჰყავს, რომელთაც კარიერის დსრულებიდან ხუთ-ექვს წელში კალათბურთის დადების დარბაზში აირჩევენ სახეობის განვითარებაში შეტანილი წვლილის გამო.





REUTERS დეტროიტიდან

„დეტროიტმა“ ამზელა კობი ბრაიანტი ციდან იატაკზე დაანარცხა

მაგრამ ამ ფინალურ სერიაში „ლეიკერსის“ მოთამაშე ლეგენდები ძალიან ჰატარა კაცებად გამოჩნდნენ. თვით შაკილ ონილიც კი, რომელიც სხვებზე ბევრ ბურთს კი აგდებდა, მაგრამ ბევრსაც წუწუნებდა. ისე, სხვები მის ოდენასაც ვერ აკეთებდნენ. ერთი კობი ბრაიანტი თუ იხვეჭდა ქულებს, ისიც შედარებით მოკრძალებულად. მხოლოდ მეხუთე თამაშში და მხოლოდ ორმა ლეიკერსელმა (სლავა მედვედენკომ და დერიკ ფიშერმა) ააცილეს პირადი მონაგარი 10 ქულას, სხვა წინა თამაშებში კი მხოლოდ შაკილ ონილი და კობი ბრაიანტი ეომებოდნენ მეტოქეს. კარლ მელოუნმა სერიის დასაწყისშივე მიიღო ფეხის ტრავმა და მუშა კაცის სტატუსიც დაკარგა. ხოლო მეოთხე სუპერვარსკვლავი გერი პეიტონი რას აკეთებდა მოედანზე, ვერაფრით მოგახსენებთ. ალბათ თავად პეიტონიც ვერაფერს იტყვის. „ლეიკერსში“ იმიტომ გადავიდა, რომ აქ მაინც გამხდარიყო ჩემპიონი. ალბათ ეგონა, კობი და შაკი აჩუქებდნენ ამ ჩემპიონობას, თავად კი მხოლოდ ბურთს გადაიტანდა მეტოქის ნახევარზე და გამარჯვებით გაიხარებდა. ვერ მიერთვა და ღირსიცაა, დიდი მოთამაშე არარაობად იქცეს, როცა ხუთ თამაშში ერთხელაც ვერ ანერწებს თუნდაც 10 ქულის ჩაგდებას.

„დეტროიტს“ არა ჰყავდა ასეთი სუპერსახელები, სამაგიეროდ ამ გუნდის ყველა წევრმა, იცოდა რა უნდოდა და როგორ მიეღწია ამისთვის. ამ ბოლო თამაშის უკვე მესამე მეოთხედში „პისტონზი“ 29 ქულით დაწინაურდა და ყველაფერიც აქ მომთავრდა. „ლეიკერსის“ მეპატრონე ჯერი ბასმა, ვის ქალიშვილსაც, სხვათა შორის, ჰყვარობს ფილ ჯეკსონი, თამაშის დასრულებას არ დაუცადა, ადგა და იქაურობას გაეცალა. ხოლო დეტროიტელებმა „ლეიკერსის“ თავგადაკლულ და უღალატო ფანს ჯეკ ნიკოლსონს უსტვინეს და აიძულეს, წასულიყო.

„პისტონზი“ იმდენად იოლად უგებდა მრისხანე მეტოქეს, რომ მწვრთნელმა ლარი ბრაუნმა განაცხადში მყოფი 12-ვე მოთამაშე ათამაშა, დარკო მილიჩიჩიც კი, რომლის ფუნქციაც „პისტონზის“ სათადარიგოთა სკამის ბოლო ადგილის დაკავებაა.

დეტროიტმა კი გაიხარა და შამპანურშიც იბანავა. ეს ამ გუნდის პირველი ჩემპიონობაა ბოლო 14 წელიწადში და იმ ღამეს ავტოქალაქში ალბათ მხოლოდ ქუჩაში დატოვებული მანქანების და ღია ვიტრინიანი მაღაზიების პატრონები დარჩნენ უკმაყოფილონი. სიხარულით გავეშებულ „მუშათა“ ქალაქში ბევრი რამ დაილეწებოდა.

კოტე ყორშია

უძვირფასესი

ჩონსიმ იცის სიჯყვის ფასი



REUTERS დეტროიტიდან

„ჩვენ მზად ვართ, მსოფლიო გადავრიოთ!“ — თქვა ჩონსი ბილაფსმა ფინალური სერიის დაწყებამდე და უმრავლესობამ მას ეს ნათქვამი ყოყლოჩინობაში და ზანგურ ქუჩურბიჭურ ტინგიცობაში ჩამოართვა.

ჩონსიმ პირველივე თამაშში შეაცვლევინა ხალხს აზრი, ხოლო 10 დღის შემდეგ იგი ფინალური სერიის უძვირფასეს მოთამაშედ დასახელეს.

„მე არა ვტყუოდი. ჩვენ არავინ გვაძლევდა შანსს, მაგრამ ვგრძნობდით, რომ გამარჯვების ძალიან დიდი შანსი გვქონდა. მათ ჰყავდათ კობი და შაკი, მაგრამ ჩვენ ეჭვიც არ გვეპარებოდა, რომ უკეთესი გუნდი ვიყავით“.

თავად ჩონსი ბილაფსი საუკეთესო უკანახაზელი იყო მთელ სერიაში, ორივე გუნდში და ხუთი თამაშში საშუალოდ 21,0 ქულა და 5,2 პასი მოიხვეჭა.

მთავარი კი ისაა, რომ ვიღაც ჩონსიმ აბუჩად აიგდო გერი პეიტონი, რომელსაც თავისი მრავალფეროვანი კარიერის განმავლობაში სულ რჩეული ბიჭები დაუჩაგრავს, ბევრიც მოუგია და კარიერას რომ დაამთავრებს, რამდენიმე წელიწადში ვინძლო დიდების დარბაზშიც აირჩიონ. ჰო, კიდევ პეიტონი ორგზის ოლიმპიური ჩემპიონია.

ჩონსი ბილაფსს კი დიდების დარბაზს დალეგენდად შერაცხვას ვინ უპირებს, ერთხელაც არ უთამაშია თუნდაც „ყველა ვარსკვლავის“ მატჩში. არავის ჩაუთვლია იგი იმ დონის მოთამაშედ, რომ შაკილ ონილის, კობი ბრაიანტის და ამათი გაქანების სუპერვარსკვლავებში გაერიათ.

შვიდი წელი დადიოდა ჩონსი გუნდიდან გუნდში და თავის თავს დაეძებდა. „დეტროიტში“ მან ყველაფერი ერთად იპოვა, ამ გუნდის სახელით იგი სამუდამოდ ჩაეწერა ნბას ისტორიაში — გახდა ფინალის MOST VALUABLE PLAYER — შემოკლებით ფინალის MVP. ეს ტიტული თავის თავად ვერ აღემატება რეგულარული ჩემპიონატის MVP-ობას, მაგრამ ბევრს ეს ურჩევნია, რაკი ესაა არა მხოლოდ კარგი მოთამაშის, არამედ თავისი გუნდის გამჩემპიონებლის ტიტული.

ამითაც იყო ეს ფინალი საინტერესო, რომ ჩემპიონები უბრალო ბიჭები გახდნენ. ფინალებს 1981 წლის შემდეგ არ ჰყოლიათ ასეთი უსახელო უძვირფასესი. 23 წლის წინ ეს პრიზი ხელში ეჭირა ბოსტონელ სედრიკ მაქსველს მაშინ, როდესაც იმ „ბოსტონ სელტიქსში“ ლარი ბერდი და რობერტ პერიში თამაშობდნენ. სხვათა შორის, ისინიც უბრალო ბიჭები იყვნენ.

ჩონსი ბილაფსს მოეძებნება თავისი პროტოტიპი „დეტროიტში“ — ესაა „პისტონზის“ ახლანდელი პრეზიდენტი ჯო დუმარსი, რომელმაც 1989 წელს „დეტროიტს“ მრისხანე მეჯიქ ჯონსონის „ლეიკერსი“ დაამარცხებინა. 14-გზის ჩემპიონ „ლეიკერსს“ ახლა ალბათ ისევე შესძულდება „დეტროიტი“, როგორც ოდესღაც „ბოსტონი“ სძულდა.

The Finals

ნაფინალევს

REUTERS დეტროიტიდან

ლარი ბრაუნმა ბოლო-ბოლო მოუგო ფილ ჯეკსონის „ლეიკერსს“

ლარი ბრაუნი, „დეტროიტის“ მთავარი მწვრთნელი:

— თქვენ ხართ იმ გუნდის გამაჩემპიონებელი მწვრთნელი, სადაც ინდივიდუალიზმი მინიმუმამდე იყო დაყვანილი. ეს დადებითი მომენტია თქვენთვის თუ პირიქით?

— ეს სწორედაც რომ ძალიან მაგარი მომენტია. მე აქამდე არაერთი ინდივიდუალისტის გუნდი გამიწვრთნია, მაგრამ იმედგაცრუების მეტი არაფერი მინახავს, ტიტული ვერასდროს მოვიგე. ამიტომაც ვუთხარი ბიჭებს თამაშამდე, რომ ამ გამარჯვებას უდიდესი რეზონანსი მოჰყვებოდა. „დეტროიტი“ გუნდური თამაშის წყალობით გახდა ჩემპიონი, რაც პრინციპში არის კიდეც კალათბურთის მთავარი არსი. აი, შედეგიც, ჩვენ დავამარცხეთ დიადი მწვრთნელისა და ორი სუპერვარსკვლავის გუნდი, რაც ძალიან გემრიელი რამაა.

— შეგიძლიათ, გვითხრათ, რას ფიქრობდით თამაშის ბოლო წუთებში, როცა თქვენი პირველი ტიტული დაბევებული გქონდათ?

— ძალიან ნეტარი გრძნობაა, მით უმეტეს მაშინ, როცა ტიტულს იგებ თითქმის განახლებული გუნდით. „დეტროიტში“ ხომ დიდი ცვლილებები მოხდა შუა სეზონში, არაერთი კარგი მოთამაშე წავიდა, ზოგიც მოვიდა.

— რას იტყვით ფინალური სერიის უძვირფასეს ჩონსი ბილაფსზე?

— მიმაჩნია, რომ ის უნიკალურია ჩვენი გუნდისთვის. თუმც იმასაც გეტყვით, რომ თავისუფლად შეიძლებოდა საუკეთესო გამხდარიყო კიდევ არაერთი დეტროიტელი. თუ დააკვირდებით, ჩემი და ჩონსის კარიერა ერთმანეთს წააგავს. მართალია, მე მასზე ბევრი მინახავს, მაგრამ არც ბილაფსია გამოუცდელი. ის ეძებდა და ჩვენ ერთად მივაგენით ტიტულს. ეს დღე მისი ცხოვრებისა მწვერვალია, ამას იქით ცოტა თუ წასულა.

— „დეტროიტი“ დაცვის გუნდია, დღეს კი აჩვენეთ, რომ საუკეთესო შეტევაც გყოლიათ...

— ყველამ იცოდა, რომ დაცვაზე იყო ჩვენი წარმატება დაფუძნებული, ამიტომაც რაღაც ახალი უნდა შეგვეთავაზებინა მეტოქისთვის და ჩვენ ეს მოვახერხეთ. ყველაფერში კი სისწრაფე დაგვეხმარა, დაცვიდან შეტევაზე გადასვლის უპირველესი იარაღი. ჩემ გუნდში თითქმის ყველა კარგი მორბენალია და სწორედ ამაში დავჯაბნეთ მრისხანე მეტოქე. თან ბედიც გვწყალობდა, ერთ მომენტში მომეჩვენა, თითქოს „ლეიკერსის“ კალათი გაფართოებულიყო.

ჯო დუმარსი, „დეტროიტის“ აქამდელი, 1989-90 წლების ჩემპიონობის შემოქმედი, დღეს კი კლუბის ვიცე-პრეზიდენტი:

— რა განსხვავებაა „დეტროიტის“ ბოლო ორ ჩემპიონობას შორის?

— ახლა უფრო ამჩატებული ვარ. მაშინ მეტი ზეწოლა, ნერვიულობა და სტრესი გადავიტანე. თუმც ახლა უფრო მოულოდნელი იყო ტიტულის მოპოვება. გუნდი სეზონის განმავლობაში კომპლექტდებოდა. მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, ქვეყანა ჩემი მეგონა, ახლა კი 41 წლის მოხუცი ვარ და გამარჯვებასაც უფრო სხვა, პრაგმატული თვალით ვუყურებ. 14 წლის წინ რომ მეორედ ავედი საჩემპიონო კვარცხლბეკზე, მეგონა, იქ აღარასდროს ავიდოდი, მაგრამ, საბედნიეროდ, მომიხდა.

ფილ ჯეკსონი, „ლეიკერსის“ მთავარი მწვრთნელი:

— მე ვხედავ აქ არაერთი დეტროიტელის ბავშვს, ისინი თავიანთმა მამიკოებმა მოიყვანეს, რათა მოახლოებული ჩემპიონობის ზეიმი მათთან ერთად გაეზიარებინათ. მეც შემეძლო ჩემი შვილის აქ მოყვანა, მაგრამ ასე რომ მექნა, ისინი მწუხარებას გაიზიარებდნენ. წაგებაში არავის ვადანაშაულებ. ბიჭებმა მაქსიმუმი გაიღეს, მათ ურთულესი სერია მოუგეს „სან ანტონიოს“, მაგრამ „დეტროიტის“ წასაქცევად ძალები აღარ შერჩათ. ეს რაღაცით ჰგავს კონკიას ამბავს, „დეტროიტმა“ დამტკიცა, რომ ცოტათი ჩვენზე მაღლა იდგა.

— მეტოქემ 100 ქულა ჩაგიდვთ, ამაზე რაღას იტყვით?

— ყველა კარგად ესროდა. ბენ უოლესმაც კი, რომელიც არაა სნაიპერი, პირველ ტაიმში 5-დან 5 სროლა ჩააგდო. კი გვინდოდა, მაგრამ დეტროიტელებს მიზანი ვერაფრით გავუმრუდეთ.

— თქვენზე ამბობენ, მწვრთნელობას თავს ანებებსო. რას აპირებთ?

— პირველ რიგში „ლეიკერსის“ ხელმძღვანელობასთან შეხვედრას. დავსხდებით, ვისაუბრებთ, მერე კი გადაწყვეტილებასაც მივიღებ, „ლეიკერსში“ დავრჩე, სხვა გუნდში წავიდე თუ საერთოდ თავი დავანებო ამ საქმეს. ახლობლები მთხოვენ, მე-10 ტიტულიც მოიგეო, მაგრამ რა ვიცი, დარჩენის შანსი მცირეა.

კობი ბრაიანტი, „ლეიკერსის“ მსროლელი:

— ფილ ჯეკსონის აზრით, თქვენ უთავბოლოდ დარბოდით და ილაჯიც გამოგეცალათ.

— ეს გუნდზე თქვა, თუ მხოლოდ ჩემზე?

— თქვენზე...

— არა, მე არ მირბენია უთავბოლოდ და საერთოდ, ბოლო წუთებამდე შევინარჩუნე ენერგია. ეგაა, ბურთს ვერ ვაგდებდი, თორემ უილაჯოდ ნაღდად არ მირბენია.

შაკილ ონილი, „ლეიკერსის“ ცენტრი:

— ვულოცავ ლარი ბრაუნს და მთელ მის გუნდს, ისინი ღირსეული ჩემპიონები არიან. მათ წარმოუდგენელ ტემპში ითამაშეს, ბევრი ბურთი დაგვაკარგვინეს და საერთოდ, ყველაფერს მეტ-ნაკლებად ჩვენზე უკეთ აკეთებდნენ. სამწუხაროდ, წავაგეთ, ძალიან იმედგაცრუებული ვარ, კარგი იყო, ჩემპიონები გავმხდარიყავით.

გილერმო ბალახზე გაკორიალდა

ORDINA OPEN
დენ ბოსხი. ბალახი
საპრიზო 375 ათასი ევრო

პირველი წრე

გილერმო კორია (1, არგენტინა) — კაროლ ბეკი (სლოვაკეთი) 6:3, 6:3; რაემონ სლოიტერი (ჰოლანდია) — რაინერ შუტლერი (2, გერმანია) 3:6, 7:6 (7:2), 6:3; მარიო ანჩიჩი (ხორვატია) — სხენგ შალკენი (3, ჰოლანდია) 4:6, 6:3, 6:2; ტომი როზრედო (4, ესპანეთი) — ლარს ბიურგსმიულერი (გერმანია) 3:6, 6:4, 6:4; ივო კარლოვიჩი (ხორვატია) — არნო კლემანი (7, საფრანგეთი) 7:6 (10:8), 6:7 (5:7), 6:3

გილერმო კორია გამოჯეკილი მეთიხნარე კია, მაგრამ ამბიცია და განვითარების მოთხოვნილება ბალახზეც რიგიანად თამაშს ავალდებულებს. ამიტომაცაა, სტელაარტუობის პირველსავე წრეში რომ ჩაიფლავა, მყისვე ჰოლანდიისკენ გატოპა, რათა ახლა იქ მაინც გაეგებინებინა ბალახის გემო თავის დასტურ სვიანად საქნევი ჩოგნისთვის.

და გააგებინა კიდეც. „ორდინა ოპენის“ პირველ წრეში უსახელო კაროლ ბეკს ერკინა და დიდი ჭაპანწყვეტის გარეშე აჯობა.

ნიჭიერი გაუჩოს ქომაგებს შეგახსენებთ, რომ 2001 წლისა და შარშანდელ უიმბლდონობებზე მას ჩოგანი პირველსავე წრეებში დაეშალითებინეს. მაშინ კორია ჯერაც ზეპური მარაქის მიღმა იყო და ეპატიებოდა, მაგრამ ახლა ის რეიტინგსიის მესამეადგილოსანია და ასე ბითურად წაფორხილება აღარ ივარგებს.

ვნახოთ — დინამოსხურ ტურნირზე მეს ბოლოს ბოლოს ჩოგანი ამყარია და ეგებ კარიერის პირველ საბალახსაფრო ტიტულსაც გამოკრას. ეს კი საუიმბლდონოდ მას ღონიერი განწყობით შეამარაგებდა.

სხვაფრივ — წლეულს უკვე მეათე ტურნირის პირველსავე წრეში დაიჩოგნა შარშანდელი სეზონის მთავარგანვითარებული კაცი რაინერ შუტლერი. ამაზე ხმაურიანი მოულოდნელობა კი ორგზის ტიტულდამცველ სხენგ შალკენის გაბუნძულება იქცა. ადგილობრივთა ჯილა ზორბა ხორვატმა მარიო ანჩიჩმა დათრგუნა.

ნოტინგემის ღია პირველობა
ბალახი. 375 ათასი ევრო

პირველი წრე

ტაილორ დენტი (6, აშშ) — ირაკლი ლაბაძე (საქართველო) 6:2, 6:2; პარადორნ შრიჩაფანი (1, ტაილანდი) — ჟილ ელსენერი (ბელგია) 6:3, 7:5; ტომას იოჰანსონი (შვედეთი) — მაქს მირნი (4, ბელარუსი) 2:6, 6:1, 6:4; ფლავიუ სარეტა (ბრაზილია) — იურგენ მელცერი (8, ავსტრია) 7:6 (7:4), 7:6 (7:3); გრეგ რუზედკი (ბრიტანეთი) — კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) 2:6, 7:6 (7:4), 6:3

თავისკბილა ამერიკელ ტაილორ დენტთან ირაკლი ლაბაძეს აქამდე არასოდეს ერკინა და ცუდია, საამუიმბლდონოდ ბალახზე ჩოგნაობა სწორედ მხოლოდ მასთან გაჯიბრებით რომ შემოეფარგლა.

აგასიმ საბოლოოდ იუარა

უიმბლდონის 1992 წლის ჩემპიონმა ანდრე აგასიმ წლევანდელ უიმბლდონზე თამაში უკვე საბოლოოდ იუარა. მიზეზი, რის გამოც 34 წლის არმენიამერიკელი წლის საზეო ტურნირს დააკლდება, ბარძაყის გამიზეზებული ტრავმაა.

მის მიერ გავრცელებულ განცხადებაში დაახლოებით ასეთ რამეს ვკითხულობთ: „უკვე რამდენიმე თვეა, ამ ტრავმის გამო ძალიან ვწვალობ. მტკივანმა ბარძაყმა არც უიმბლდონისთვის მომზადება დამანება, ხოლო რაკიღა იმის საფრთხეც არსებობს, რომ ბალახზე შესაძლოა ტრავმა გამიზეზდეს კიდეც, მე აქ გამოსვლიდან თავის შეკავება ვარჩიე.“

ოღონდ ეგ იმას არ ნიშნავს, თითქოს ლონდონურ კოინდარს აწი აღარასოდეს გავჯეგავო.

არადა, ამ ბოლო ფრაზის დართვა მართლაც საჭირო იყო. რვაგზის სლემტიტულოსნის ბოლოდროინდელ ვაინაჩრობათა შემხედვარე მილეთში ხომ უკვე დაირხა ხმები, რომელთა თანახმადაც შებერებული დიადი მეჩოგნე თითქოს წლის ბოლოს ჩოგნის დედაბოძზე ჩამოკიდებას აპირებს.

თავად ანდრე ამ ხმებს არ ადასტურებს — იმედიც მაქვს და განრიგიც ისე მექნება, რომ საგაისო უიმბლდონზე აუცილებლად ვიჩოგნავებო. თუმცა დიდ კორტს ის უკვე ივლისში დაუბრუნდება — ლოს ანჯელესურ მერსედეს-ბენც-კაპ-ობაზე.

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ რაგინდარა ტიტული მას უკვე 16 თვეა, არ მოუგია. ეს სეზონი მან რიგიანად დაიწყო, ავსტრალიის ღია პირველობის ნახევარფინალსაც უწია, მერე კი ინდიანუელსობის იმავე ეტაპს. მაგრამ მას შემდეგ ვეტერან ფაკირს რამსები აერია და მარტში რომ 799-ე საკარიერო მოგებაზე დაყოვნდა, მას მერე ვერ იქნა და მე-800 ვეღარ მიითვალა.

ლევან კელაურაძე



ფეხბურთი

იტალია
სერია A/B. პლეი ოფი

ბარი 1:0 ვენეცია
პერუჯა 0:1 ფიორენტინა

ისლანდია
პრემიერდივიზიონი
მეექვსე ტური

გრინდავიკი 0:0 რეიკიავიკი
ფრამი 0:1 აკურეირი
აკრანესი 2:2 ჰაფნარფიორდური

ნორვეგია
I დივიზიონი. XII ტური

გრინი 2:1 ჰაუგესუნდი
ჰიოდი 1:0 მოსი
ჰიონეფოსი 3:4 კონგსვინგერი
რაუფოსი 1:1 ბორს გრენლანდი
სანდეფიორდი 3:1 სკეიდი
სტარტი 4:1 ალესუნდი
ტრომსდალენი 1:3 ვანდალი
ვარდ ჰაუგესუნდ 0:3 სტრომსგოდსეტი

იაპონია
ჯეი ლიგა. XIII ტური

ნიიგატა 3:3 შიმიცუ
სერეზო 0:1 გამბა
იჩიჰარა 2:2 ტოკიო
ივატა 2:2 კობე
ნაგოია 2:1 ოიტა
ვერდი 3:0 კაშიმა
ურავა 1:1 კაშივა
იოკოჰამა 2:0 ჰიროშიმა

უფედეიი
სუპერეტა. გადადებული მატჩი

ჰეკენი 3:2 ბრაგე

საქართველო 17
ბლუ ბულზი 55

ამხანაგური მატჩი

16 ივნისი. რუსთავი. „ფოლადი“

საქართველო „ა“ 17:55 ბლუ ბულზი

ვანო სოხაძე	15	რაიან ფანდერბურგი
ლაშა შუბითიძე	14	კიგან ფრედერიქსი
რეზო გიგაური	13	დილან დეს ფონტეინი
თემურ სოხაძე	12	დიონ ჰენტერი
ზვიად კობერიძე	11	ლაფრეს უისი
გიორგი კაჭარავა	10	მორნე სტეინი
ვახტანგ ფაილოძე	9	ნორმან ჯორდაანი
ზაზა ვალიშვილი	8	კარელ ჰოფმანი
ბექა სარდანაშვილი	7	პიტ კრაუზე
შალვა პაპაშვილი	6	უიმ ერლოუ
დიმა პავლოვი	5	ფრანსუა ფან სხოვენბურგი
ალექსანდრე მჭედლიშვილი	4	ბრიან ფერმააკი
ზურაბ კორკოტაძე	3	რიჩარდ ბანდსი
გიორგი ჯოხია	2	გარი ბოთა
დავით ბალანჩივაძე	1	ქიის ლესინგი

შეცვლაზე შევიდნენ

გიორგი სანიკიძე	ანდრეს ჰუმანი
შოთა მელიქიძე	ვესელ რუ
ირაკლი ალიმბარაშვილი	რუან ფერმუილენი
ვახო ახვლედიანი	დენი ფან დერ მერვე
გიორგი თოდრაძე	ჯეიპი ნილი

მსაჯი: ნოდარ რობიტაშვილი

პრეტორიელი „ხარები“ ქართველებს გუშინ მეორედ შეერკინნენ. რუსთავის „ფოლადის“ არც ისე გადახრუკულ მინდორზე „ბლუ ბულზმა“ საქართველოს „ა“ ნაკრებს კი მოუგო, თანაც გვარიანი უპირატესობით, მაგრამ გაცილებით მეტ წინააღმდეგობას წააწყდა, ვიდრე ოთხი დღის წინ, „ლოკომოტივზე“.

დაძაბულობას აფრიკელთათვის დამახასიათებელი ბინძური თამაშიც დემატა და საქმე მუშტი-კრივის ზღვარზეც არაერთხელ მივიდა. მორაგბეები ლამის ყოველი მეორე შებოჭვის შემდეგ ერთმანეთის საცემად იწევდნენ, თუმც ხელჩართული ჩხუბი არცერთხელ არ დაწყებულა. ჩვენ მორაგბეებში კი თამაშის შემდეგ ასეთ საუბრებს მოისმენდით:

— ზედახორიდან ბურთი გაიტანეს და ის იყო წამოდგომა დავაპირე, მომვარდა, სახეში წიხლი ამომცხო და გაიქცა.

— პასი უკვე გაკეთებული მქონდა, მაგრამ კისერში ისე მეცა, ლამის მომტეხა.

მთელი ძალით ვურტყამდი ზურგში და ვერაფერს გრძნობდა.

— ლელო მაინც გავიდა, მაგრამ ჯობდა თვითონ „პროპელერას“ დაედო. ვერ ასწრებდა, კარგად დავინახე. კიდევ კარგი გაჩერდა, თორემ ის ცხოველი რაგბის თამაშს დაამთავრებინებდა.

...და ასე შემდეგ.

ახალგაზრდა ქართველი მორაგბეები მართლაც ბრძოლის ველიდან გამოსულებს ჰგავდნენ. „თამაშის“ კვალი თითქმის ყველა მათგანს ეტყობოდა, თუმც ნაკლებ დღეში არც აფრიკელები იყვნენ. ზორბა მორკინალი უიმ ერლოუ და მასზე არაფრით ნაკლები გარი ბოთა მინდვრიდან თანაგუნდელთა დახმარებით გამოიყვანეს.

21-23 წლის ჩვენებურებს „ბულზიც“ ახალგაზრდული შემადგენლობით ეთამაშა, თუმც პირველი ხაზის გადახალისება ჰაიკე მაიერმა მაინც არ ისურვა და ზე-12-ში გამობრძმედილ ბოთა-ბანდსის (2-3) დუეტი დააყენა, პირველი ნომერი კი ნამიბიის ნაკრების წევრი ქიის ლესინგი იყო. ალბათ ამიტომაც დავიჩაგრეთ განსაკუთრებით შერკინებაში. ჯანიან „ხარებს“ არც ტექნიკაში გაჭირვებიათ, მაგრამ რამდენიმე უხეში შეცდომა დაცვაში მაინც გაეპარათ და სამ ლელოდ დაუჯდათ. თანაც ჩავლეიშვილი — ჭეიშვილის სამწყსომ ერთმანეთზე უკეთესი ლელოები გაიტანა. ალბათ ამიტომაც ვერ იყო „ხარების“ თავკაცი ბოლომდე კმაყოფილი. „ბულზის“ დუბლებს ძირითად მოთამაშეებამდე საკმაოდ ბევრი რომ უკლიათ, ერთი შეხედვითაც გამოჩნდა. თავად ბობოლები კი ახალგაზრდების ჯავჯგურს ტრიბუნებიდან შესცქეროდნენ და თავს ხან ნაყინით, ხანაც ბურბუშელით იქცევდნენ.

მატჩის შემდეგ მორაგბეებმა ლუდის ქარხანაში გადაინაცვლეს. საქციო საზოგადოება „ყაზბეგის“ მარკეტინგის ჯგუფის ხელმძღვანელმა გიორგი თოფაძემ მოშიებულ-მოწყურებულ გოლიათებს სუფთა ჰაერზე გაშლილი სუფრები დაახვედრა, რაღა თქმა უნდა, საფირმო ლუდის ზღვით და გვარიანი ქეიფიც გაჩაღდა.

ორიოდ საათის წინ მოედანზე ნაძიძგილავები ბიჭები აქ უკვე კათხების ტრიალში გაეჯიბრნენ. განსაკუთრებით საინტერესო ორი კათხა ლუდის სწრაფად დალევის კონკურსი გამოდგა, რომელიც ახმახმა დენი როსოუმ მოიგო. კათხები ისე ჩაცალა, დალევას კი არა, გადაქცევასაც ვერავინ მოასწრებდა და „ყაზბეგისგან“ დაწესებული პრიზი, განსხვავებული სასმისიც დაისაკუთრა.

პატივისცემა აფრიკელებმაც იქვე დააფასეს და თოფაძეს „ბულზის“ სიმბოლიკიანი მაისურა და სუვენირი უსახსოვრეს. მერე კი ხმაშეწყობილი სიმღერაც შემოსძახეს.

„ხარებს“ წინ კიდევ ხუთი თბილისური დღე და ერთი ამხანაგური თამაში აქვთ, 20 ივნისს, უკვე დიდ ბორჯღალოსნებთან.

ოთარ მაღლაკელიძე
ბადრი კეთილაძის ფოტოები

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორაშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფიროსმანაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნაშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან ერისთავი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. **ტელეფონი:** 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge